

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა (მიმართულება: სისხლის სამართალი)

მაგისტრანტი სტუდენტი: რუსუდან მუმლაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად*

თემა:

მხარეთა თანასწორობა და შეჭიბრებითობა მტკიცებულებათა მოპოვებისას
სისხლის სამართლის პროცესში

სამეცნიერო თემის ხელმძღვანელი: ირინე ბოხაშვილი

სამართლის დოქტორი (მიმართულება: სისხლის სამართალი)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის მონწვეული ლექტორი

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომში განხილულია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საკითხი მტკიცებულებათა მოპოვებისას სისხლის სამართლის პროცესში. დეტალურად იქნება მიმოხილული თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების კონსტიტუციური სტატუსი და მისი მოქმედება მტკიცებულებათა მოპოვების უფლების ნაწილში.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება ან ამ უფლებათა შეზღუდვის შედეგად მტკიცებულების მოსაპოვებლად ქმედების განხორციელებაში ხელისშეშლა წარმოადგენს უფლების შეზღუდვის ერთ-ერთ საშუალებას და შიდა და საერთაშორისო კანონმდებლობით აღიარებული სამართლიანი სასამართლოს უფლებაში ჩარევის ფაქტს. სისხლის სამართლის პროცესში აუცილებელია მტკიცებულებათა მოპოვებისთვის თანაბარი წესების უზრუნველყოფა და მათი დაცვა, განსაკუთრებით კი გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას, რათა თავიდან იქნეს აცილებული უკანონო მსჯავრდება. ამ პროცესში მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს როლი, რადგან სწორედ მისი გადაწყვეტილებებით იქნა არაკონსტიტუციურად ცნობილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს დაცვის მხარის მიერ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ განჩინების გაცემის უამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას. ამასთან, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზი, რათა შემდგომში მოხდეს მათი გათვალისწინებით საკანონმდებლო რეგულაციების განმტკიცება, ასევე, მოსამართლეთა მიერ გადაწყვეტილებათა სამოტივაციო ნაწილში სწორედ ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების გამოყენება და დაცვა. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული პრაქტიკა მაქსიმალურად არის შინაარსობრივად ინტეგრირებული ნაშრომის თავებსა და ქვეთავებში.

Resume

In the present thesis, it will be discussed the concept of the principles of equality and adversity of arms while obtaining evidences in Criminal Procedure. The constitutionality of the principles of equality and adversity will be reviewed in detailed, also, it will be discussed its impact on the process of evidence procuring.

It is important to be noticed that the evidence obtained based on the violation of the principles of equality and adversity of arms or encumbrance to act for obtaining evidences is the fact of violated constitutional principles and an unreasonable interference in National and International Laws.

It is vital to be noted that both arms need to be provided with equal rights to obtain evidences, especially when the national court makes a sentence, to be avoid an unlawfull conviction. Besides, providing them with equal rights formally is not an only way out. The rights to get all the evidences together for and against conviction, exchange them with another party, take part in the process of procuring evidences and, also, what's more important, to protect the rules established by law in force, is the main and valued principle of the whole fair trial.

The Constitutional Court of Georgia has an outstanding role in this discussion, because on the based of its decisions, some articles of the Georgian Code of Criminal Procedure were declared unconstitutional. They will furthermore be discussed in detailed below in the topic.

ნაშრომში გამოყენებულ ტერმინთა აბრევიატურები:

ა.შ. - ასე შემდეგ

გვ. - გვერდი

ე.ი. - ესე იგი

ევროპული კონვენცია - ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

თბ. - თბილისი

იხ. - იხილეთ

მაგ. - მაგალითად

სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი

სსსკ - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

სხვ. - სხვა

სტრუქტურა

შესავალი

- I. მტკიცებულებათა ცნება და სახეები სისხლის სამართლის პროცესში
 - 1.1 მტკიცებულების ცნება და შინაარსი
 - 1.2 ბრალდებულის ჩვენება
 - 1.3 მონმის ჩვენება
 - 1.4 ნივთიერი მტკიცებულება
 - 1.5 დოკუმენტი, როგორც მტკიცებულება
 - 1.6 პრეიუდიცია
- II. მხარეთა მიერ მტკიცებულებათა მოპოვების უფლება
 - 2.1. მხარეთა შეჭიბრებითობა და თანასწორობა
 - 2.1.1 მხარეთა შეჭიბრებითობისა და თანასწორობის არსი როგორც სსსკ-ის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკისა და ასევე ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად
 - 2.2. სასამართლო განჩინების საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები
 - 2.3. დაცვის მხარისათვის ხელმიუწვდომელი საგამოძიებო მოქმედებები
- III. მხარეთა მიერ მოპოვებული მტკიცებულების შეფასება და გამოკვლევა
 - 3.1. რელევანტურობა
 - 3.2. დასაშვებობა
 - 3.3. უტყუარობა

დასკვნა

შესავალი

თემის კვლევის ობიექტია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესები მხარეთა მიერ მტკიცებულებათა მოპოვების უფლების ნაწილში. კერძოდ, ის, თუ რა პრინციპზეა აგებული კანონმდებლობა მტკიცებულებათა მოპოვების კუთხით, როგორია მხარეთა უფლებათა თანაფარდობა, რამდენად შეესაბამება სასამართლო პრაქტიკა და საპროცესო კოდექსი ერთმანეთს და რა გამოწვევების წინაშე დგანან პროცესის მონაწილე მხარეები კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების პროცესში.

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის ანალიზი ცხადყოფს, რომ ზემოხსენებული საკითხის ირგვლივ არსებული ნორმები შესაძლოა კვეთდეს სამართლიანი სასამართლოს ისეთ უფლებრივ კომპონენტებს, როგორცაა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვის უზრუნველყოფა, თუმცა არა როგორც დაცვის უფლების შემადგენელი ნაწილი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამოქმედდა 2010 წლის 01 ოქტომბერს. მასში განმტკიცებულია მტკიცებულებათა მოპოვების კანონიერი გზები და ხერხები, ასევე, მხარეთა უფლებები მტკიცებულებათა მოპოვებისა და გაცვლის პროცესში, მათი გამოკვლევის უფლება და შეფასების კრიტერიუმები. შესაბამისად, თანაბრად მნიშვნელოვანია, რომ ზემოაღნიშნული საკითხი უშუალოდ განვიხილოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებთან მიმართებით, როგორც საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით გარანტირებული ძირითადი პრინციპები.

ამ ნაშრომის მიზანია გამოიკვეთოს სისხლის სამართლის პროცესში არსებული მტკიცებულებათა მოპოვების უფლების კონსტიტუციურობა, რაც შემდგომში გაამარტივებს გამოსაყენებელი კანონის კონსტიტუციურ პრინციპებთან მიმართებით სწორ სამართლებრივ განმარტებას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სამართალწარმოების შეჯიბრებით მოდელს ეფუძნება, რომელიც არსებითად გულისხმობს სასამართლოში ჭეშმარიტების დამტკიცების ფუნქციის მხარეთა ინიციატივისთვის მინდობას, რა დროსაც მოსამართლე მკაცრად ნეიტრალურ როლს თამაშობს. ამ ნაშრომის ფარგლებში ვიმსჯელებ მტკიცებულებათა მოპოვების კუთხით თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების კონსტიტუციურ სტატუსსა და მის ურთიერთმიმართებაზე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან.

სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში თითოეული მტკიცებულების მნიშვნელობას შეიძლება გადამწყვეტი როლი მიენიჭოს და მხარისთვის გამოუსწორებელი შედეგიც კი გამოიწვიოს იმ გაგებით, რომ განაჩენი დაეყრდნოს არასანდო, საეჭვო ან მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს.

შესაბამისად, შეჯიბრებითობის პრინციპი ასევე უკავშირდება სამართლიანი სასამართლოს უფლების სხვა გარანტიებსაც, მათ შორის, მტკიცებულებათა მოპოვების უფლებას და მონინალმდევე მხარის მტკიცებულებების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებასაც.

მოცემული საკითხის კვლევისას გამოყენებული იქნება ანალიტიკური, შედარებით-სამართლებრივი, ინდუქციური, დედუქციური, აღწერილობითი, ასევე, სინთეზური კვლევის მეთოდები.

ნაშრომი შედგება 3 თავისა და 13 ქვეთავისაგან. პირველ თავში განხილული იქნება მტკიცებულების ცნება და მისი სახეები. მეორე თავში შევეხებით მხარეთა მიერ მტკიცებულებათა მოპოვების უფლებას, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საკითხებს, მის არსზე როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკისა და ასევე ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად. ვიმსჯელებ სასამართლო განჩინების საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებსა და ასევე ისეთ საგამოძიებო მოქმედებებზე, რომლებიც დაცვის მხარისთვის ხელმიუწვდომელია. ასევე, წარმოვაჩინო კანონმდებლობაში არსებულ გამოწვევებს, რომლებიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის

პრინციპებთან. მესამე თავში კი განვიხილავთ იმ კრიტერიუმებს, რომელთა საშუალებითაც განაჩენის დადგომის მიზნებისთვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულება, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მტკიცებულებათა შეფასების კრიტერიუმების თაობაზე მსჯელობა ეხება თანასწორობისა და შეჯიბრებითობის ფარგლებში მოპოვებულ მტკიცებულებებს.

I. მტკიცებულებათა ცნება და სახეები სისხლის სამართლის პროცესში

1.1. მტკიცებულების ცნება და შინაარსი

სსსკ-ის მე-3 მუხლი განსაზღვრავს კოდექსში გამოყენებულ ცნებათა მნიშვნელობას, მათ შორის, არც მტკიცებულებისა და მისი სახეების განმარტება წარმოადგენს გამონაკლისს.

სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად, მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზეც

მხარეები

- სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ;
- ასრულებენ მოვალეობებს;
- იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;

ხოლო, სასამართლო ადგენს

- არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი;
- ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა;
- დამნაშავეა თუ არა იგი;

- აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.

ყველაზე დიდი ხნის ისტორიის მქონე პრინციპი მტკიცებით სამართალში არის ის, რომ მტკიცებულება უნდა იყოს დასაშვები და რელევანტური იმ საკითხებთან მიმართებით, რომელიც უნდა გადაწყდეს სისხლის სამართლის საქმის განხილვისას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას უნდა ჰქონდეს მამტკიცებელი ღირებულება, რადგან მისი მიზანია შექმნას მნიშვნელოვანი საფუძველი გადასაწყვეტი საკითხების დამტკიცების უზრუნველყოფისა.¹ ამასთანავე, მტკიცებულებათა მოპოვების ინსტიტუტი წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან საპროცესო ღონისძიებას, რომლის კანონიერება წყვეტს მოსაპოვებელი/მოპოვებული მტკიცებულების ზემოხსენებული პრინციპების გამოყენებით შეფასების საკითხს.

სასამართლოში წარდგენის მომენტიდან ინფორმაცია მტკიცებულების სტატუსს ავტომატურად იძენს. თუმცა, მტკიცებულების (ინფორმაციის) მხარის მიერ სასამართლოსთვის წარდგენა, ამ მასალას (ინფორმაციას) ავტომატურად არ აქცევს გასაზიარებელ მტკიცებულებად, რადგან წარდგენის შემდეგ, მტკიცებულებამ უნდა გადალახოს რამდენიმე „ბარიერი“, ანუ მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, რადგან არც ერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეულ ამ „ბარიერს“ (რელევანტურობა, დასაშვებობა, უტყუარობა) თავისი მნიშვნელობა ენიჭება და შესაძლებელია კონკრეტული მტკიცებულება აკმაყოფილებდეს ორ „ბარიერს“, მაგრამ მესამეს გადაულახაობის გამო, იგი არ იქნეს გაზიარებული.²

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მტკიცებულებათა შორის მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი სახის მტკიცებულებებს, როგორცაა დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული საგანი, ნივთი, ნივთიერება, აგრეთვე ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი.

¹ ირლანდიის სამართლებრივი რეფორმის კომისია, ირიბი ჩვენება სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებში, გვ. 21-22, იხ. ლინკი: <http://www.lawreform.ie/fileupload/hearsayfull.pdf>;

² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, რედ. გიორგაძე, გ., თბილისი, 2015, გვ. 37;

ასევე, უნდა გამოვყოთ მონმის ჩვენება და მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთისგან გავმიჯნოთ თვითმხილველი მონმის პირდაპირი ჩვენება და ირიბი ჩვენება, რადგან საქმის განმხილველი სასამართლოსთვის მტკიცებულების წონადობის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს სამართალწარმოებისას კონკრეტული გადანწყვეტილების მიღების პროცესში, რადგან თვითონ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს, თუ რა შემთხვევებში არ აქვს სასამართლოს დაეყრდნოს მხოლოდ ირიბ ჩვენებას. ეს შემთხვევებია პირის ბრალდებულად ცნობა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა. აღნიშნული წესი კი დადგინდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადანწყვეტილების მიღების შემდეგ. ასევე, აღსანიშნავია, რომ ირიბი ჩვენების არსებობა მნიშვნელოვანია განსაკუთრებით გამოძიების ეტაპზე, რადგან მის საფუძველზე დევნის განმახორციელებელ ორგანოს შესაძლებლობა აქვს ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის, ფარული-საგამოძიებო მოქმედებები, ასევე, ირიბი ჩვენება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას. როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი გამოიყენება საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი კი ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობაა, რომელსაც ირიბი ჩვენებაც შესაძლებელია ადასტურებდეს.

მტკიცებულებათა სახეებზე ცალკეული მსჯელობის გამო თემის შინაარსიდან გადახვევისგან თავის არიდების მიზნით, აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ პროცესუალური ნორმებით, რომლებიც ადგენენ მტკიცებულებათა მოპოვების კანონიერ გზებს. მიზანშეწონილია ყურადღების გამახვილება იმ ფაქტზე, თუ რამდენად უზრუნველყოფს საპროცესო კანონმდებლობა მტკიცებულებათა მოპოვებისას მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის პროცესუალური პრინციპების დაცვას. მტკიცებულებათა მოპოვების უფლება წარმოშობს შემდგომში მტკიცებულებათა გამოკვლევის უფლებას, რაც ნიშნავს იმას, რომ სამართლიანი სასამართლოს პრინციპის განმტკიცების მიზნებისთვის, აუცილებელია მხარეთა მიერ მტკიცებულებათა მოპოვების უფლება განხორციელდეს თანასწორ და შეჭიბრებით გარემოში.

1.2 ბრალდებულის ჩვენება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბრალდებულის ჩვენება არის მის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ.

ბრალდებულის ჩვენებას ახასიათებს შემდეგი ნიშნები: ჩვენების შინაარსს წარმოადგენს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ეხება განსახილველი საქმის კონკრეტულ, ფაქტობრივ გარემოებებს; ამ ინფორმაციას შემხებლობა უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის საქმესთან - მტკიცების საგანთან; ეს ინფორმაცია მოპოვებული უნდა იყოს მხოლოდ ბრალდებულის სასამართლოში დაკითხვის გზით და; ამ ინფორმაციის მატარებელია ის პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს ბრალდებულის სტატუსი.³

რა არის ჩვენება და ჩვენების საგანი? - ჩვენება არის ბრალდებულის მიერ ინფორმაციის მიწოდება საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, ხოლო ჩვენების საგანს წარმოადგენს მისთვის წაყენებული ბრალდება, რაც ნიშნავს იმას, რომ ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემა მის სუბიექტურ ნებაზეა დამოკიდებული და არ წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის აუცილებელ და სავალდებულო მტკიცებულებას.

გასათვალისწინებელია, რომ ჩვენების მიცემა ბრალდებულის უფლებაა და არა ვალდებულება. ბრალდებული უფლებამოსილია მოწმის სახით მისცეს ჩვენება, რაც იქიდან გამომდინარეობს, რომ სსსკ-ის 50-ე მუხლის მიხედვით, მოწმის იმუნიტეტი გულისხმობს, რომ ბრალდებულს ჩვენების მიცემის ვალდებულება არ გააჩნია. თუმცა მოწმის ჩვენებისგან განსხვავებით კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, თუ როდის არ ექნებოდა ბრალდებულს ჩვენების მიცემის უფლება. ამავდროულად, იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული მოწმის სახით მისცემს ჩვენებას, მოწმის ჩვენებისგან განსხვავებით გამოძიების ორგანოებს ეკისრებათ ბრალდებულის ჩვენებაში ასახული ფაქტობრივი გარემოებების გადამოწმების ვალდებულება.⁴

³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, რედ., ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI), გიორგაძე, გ., 2015, გვ. 256;

⁴ იქვე, გვ. 257;

ამის საპირისპიროდ, სსსკ-ის 74-ე მუხლის მიხედვით, ბრალდებულის ჩვენება არის ბრალდებულის მიერ ინფორმაციის მიწოდება საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბრალდებულის უფლებაა მისცეს ჩვენება, რაც გულისხმობს იმას, რომ ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემა მისი ნების ფარგლებშია და არ წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეზე სავალდებულო მტკიცებულებას. ბრალდებულს კანონი ანიჭებს შესაძლებლობას მისცეს ჩვენება და საკუთარი პოზიცია მიაწოდოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს მისთვის წარდგენილ ბრალდებასა და შერაცხულ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით ან აირჩიოს დუმილის უფლება, როგორც ეს სსსკ-ის 38 მუხლით არის გარანტირებული. რაც შეეხება ამავე მუხლის მე-5 პუნქტს, ხაზგასასმელია, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია საქართველოს კონსტიტუციით არის განმტკიცებული. შესაბამისად, ბრალდებულს იცავს კონსტიტუციური პრინციპები და ამიტომაც თუ იგი ისარგებლებს ჩვენების მიცემის უფლებით, მის მიერ მიცემული ჩვენება საჭიროებს კრიტიკულ შეფასებას, რათა ისევ ბრალდებულის ინტერესებიდან გამომდინარე არ განხორციელდეს უკანონო მსჯავრდება და მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან თვითნებური შეცდომის ალბათობა.

1.3 მოწმის ჩვენება და მისი სახეები

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 24-ე ნაწილი განმარტავს მოწმის ჩვენების ცნებას, რომლის თანახმად, მოწმის ჩვენება არის მის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. ხოლო ზემოხსენებული კოდექსის 75-ე მუხლში მოცემულია მოწმის ჩვენების შეფასებისას გასათვალისწინებელი გარემოებები, მათ შორის, მოწმის პიროვნება: მესხიერების მდგომარეობა, ფსიქიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ასაკი, ჯანმრთელობა და ა.შ.

მოწმე ჩვენებას იძლევა სხვა პირის მიმართ წარმოებულ საქმესთან მიმართებით. თუმცა მოწმის მიერ ჩვენების მიცემა დამოკიდებულია პროცესის მწარმოებელი სუბიექტის და მხარის გადაწყვეტილებაზე. მოწმის მოწვევა და დაკითხვა კი მხარის უფლებაა. შესაბამისად, მოწმე, როგორც წესი, ნაკლებად დაინტერესებული პირია

და მისი ჩვენებები მეტი სარწმუნოებით ხასიათდება, მაგრამ მასზე შესაძლებელია გავლენა იქონიოს ბევრმა ობიექტურმა ან სუბიექტურმა გარემოებამ. მონშის სახით დაკითხვის თავისებურებებზე კი დეტალურად ვისაუბრებთ შემდეგ თავებში.

როგორც ვხედავთ, კოდექსი არ ახდენს მტკიცებულებათა კლასიფიკაციას და ერთმანეთისგან არ მიჯნავს პირდაპირ და ირიბ მტკიცებულებებს. თუმცა ირიბი ჩვენების განმარტებას ცალკე ვხვდებით სსსკ-ის 76-ე მუხლში. ზემოაღნიშნული მუხლების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირდაპირი ჩვენება იქნება მონშის ის ჩვენება, რომელიც გადმოსცემს უშუალოდ მის მიერ ნანახ ფაქტებს, რომელსაც იგი თავად შეესწრო (ე.წ. თვითმხილველი მონშე). აქედან გამომდინარე, პირდაპირი ჩვენება, უფრო მეტი სარწმუნოებით სარგებლობს, რადგან ნაკლებია საფრთხე მისი „დაზიანებისა“.

ირიბი ჩვენების ცნებას განსაზღვრავს სსსკ-ის 76-ე მუხლი, რომლის თანახმად, ირიბია მონშის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.⁵ ირიბი ჩვენება ეყრდნობა სხვა წყაროდან მოპოვებულ, როგორც წესი, მოდიფიცირებულ ფაქტობრივ ინფორმაციას. ირიბ ჩვენებას იძლევა პირი, რომლისთვისაც აღნიშნული ინფორმაცია სხვა პირის მეშვეობით გახდა ცნობილი. ანუ მონშეს საკუთარი თვალით არ დაუნახავს ან სხვაგვარად უშუალოდ არ აღუქვამს (არ მოუსმენია, განუცდია, გაუსინჯავს და ა.შ.) ის გარემოება, რომლის თაობაზეც იძლევა ჩვენებას. ირიბი ჩვენებით დადგენილ ფაქტსა და ინფორმაციის წყაროს შორის არსებობს შუალედური რგოლი. ასეთი მტკიცებულების წარმოების ხარისხი შესაძლებელია განსხვავებული იყოს, მაგ., მონშე იღებს ინფორმაციას არა თვითმხილველისგან, არამედ მეორე ან მესამე ხელიდან. შესაბამისად, რაც უფრო მეტი შუალედური რგოლი არსებობს წყაროსა და ჩვენების მიმცემ მონშეს შორის, მით უფრო ნაკლებია მის მიერ მიწოდებული ირიბი ჩვენების სარწმუნოების ხარისხი და მტკიცებულებითი წონა.⁶

მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, თუ რა მიიჩნია მან ირიბ ჩვენებად მტკიცებულებათა შეფასებისას. სასამართლოს საკასაციო პალატა ერთ-ერთ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებისას განმარტავს, რომ ბრალდებულის მიერ მოპარული ელექტროსადენის ნებაყოფლობით

⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 76-ე მუხლის პირველი ნაწილი;

⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, რედ. გიორგაძე, გ., თბილისი, 2015, გვ. 265;

წარდგენა დასტურდებოდა მხოლოდ მოწმე დეტექტივ - გამოძიებლის ჩვენებით და მის მიერ შედგენილი საგამოძიებო მოქმედებების ოქმებით. მათ სისწორეს არ ადასტურებდა გარდა თავად გამოძიებლისა, ბრალდებულის. სხვა პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ბრალდებულის მიერ მოპარული ელექტროსადენის პოლიციისთვის წარდგენას, საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა. ამდენად, მოწმე დეტექტივ - გამოძიებლის ჩვენება ელექტროსადენის ფარულად დაუფლების ფაქტის დასადგენად არის ირიბი ჩვენება და არ არის საკმარისი ამ ფაქტის უტყუარად დასადგენად.⁷

სისხლის სამართლის საქმეში შესაძლოა არსებობდეს ირიბი ჩვენება, რომელიც განსხვავებული გარემოებების დასამტკიცებლად იქნება წარმოდგენილი და რომელიც სხვა რელევანტურ ინფორმაციასთან ერთად შექმნის მტკიცებულებათა ერთობლიობას. ირიბი ჩვენება, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება, შესაძლოა პირდაპირ მიუთითებდეს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე ან იყოს „დამხმარე“ ხასიათის, ადასტურებდეს საქმისთვის მნიშვნელოვან „გვერდით“ ფაქტს ან გარემოებას.⁸

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ირიბ ჩვენებას როგორც წესი იყენებს იმ შემთხვევაში, როდესაც მოწმე (ინფორმაციის პირველადი წყარო) გარვეული მიზეზით თავად ვერ ან არ ცხადდება სასამართლოში და ეს მიზეზი სასამართლოსთვის არის ცნობილი.⁹

ამრიგად, ირიბი ჩვენება და არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულება სხვადასხვა შინაარსისაა. ირიბი ჩვენება ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს პირდაპირი და ცალკეულ შემთხვევებში - არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულება.¹⁰

⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 აპრილის განაჩენი საქმეზე N483ap-14, პარ.13;

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარ. 27.

⁹ P.S. v. Germany, no. 33900/96, 20.12.2001 - ბრალდებულს არ მიეცა შესაძლებლობა კითხვები დაესვა სავარაუდო სექსუალური ძალადობის მსხვერპლისთვის; შედ., S.E. v. Italy, no. 36686/97, 12.01.1999;

¹⁰ არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულებების მნიშვნელობა ქართული და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, მაღლაკელიძე, ლ., თუმანიშვილი, გ., მართლმსაჯულება და კანონი, N1, 2017, თბილისი, გვ. 43;

ამ მხრივ, ირიბი ჩვენების გამოყენებასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოა მოკლე შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა. ზოგადად, უნდა ითქვას, რომ არ არსებობს ირიბი ჩვენების მოწესრიგების უნივერსალური მოდელი, რომლითაც ყველა სახელმწიფო იხელმძღვანელებდა. კონკრეტულ სამართლებრივ სისტემებში აღნიშნულ ინსტიტუტს განსხვავებული მოწესრიგება აქვს და მისი სასამართლო განხილვაზე დაშვება თუ გამორიცხვა სხვადასხვაგვარი პროცედურებით ხორციელდება. ზოგიერთ ქვეყანაში ირიბი ჩვენების დასაშვებობისთვის მინიმალური პირობების არსებობაც კი საკმარისია, მაგრამ არსებობს ქვეყნები, სადაც ზოგადი წესით, ირიბი ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად ითვლება, გარდა კანონით განსაზღვრული კონკრეტული გამონაკლისებისა.¹¹

უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის საპროცესო სამართალში ირიბი ჩვენების დასაშვებობის წესები და პრინციპები ერთმანეთისგან განსხვავებულია, რამდენადაც განსხვავდება სისტემები. ამავდროულად, კონტინენტური ევროპის ზოგ ქვეყანაში დადგენილია ირიბი ჩვენების დასაშვებობის მინიმალური პრინციპები (ესპანეთი, იტალია). საერთო სამართლის ქვეყნებში ეს კონკრეტიზაცია ხდება სასამართლო პრაქტიკით, თუმცა განსხვავებულია პოზიცია კანადაში, სადაც ირიბი ჩვენების დაშვების წესი ზოგადია და სასამართლოს ეძლევა საშუალება ზოგადი პრინციპების საფუძველზე მოახდინოს ამა თუ იმ ჩვენების მტკიცებულებად დაშვება. ამერიკის ფედერალურ წესებში, განსხვავებით სხვა საერთო სამართლის ქვეყნებისა, ირიბი ჩვენების წინააღმდეგ წესის გამონაკლისების ძალიან ფართო ჩამონათვალი არსებობს. ზოგ ქვეყანაში, სადაც სამართალწარმოება დაფუძნებულია ინკვიზიციურ პრინციპებზე (მაგ. საფრანგეთი, ბელგია, გერმანია) ირიბი ჩვენება დასაშვებია და მოსამართლე წყვეტს ასეთი ჩვენების ღირებულებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.¹²

1.4 ნივთიერი მტკიცებულება

¹¹ <https://cjn.ge/ka/publications/>, იმნაძე გ. ირიბი ჩვენების გამოყენების წესი (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), 2015, თბილისი, გვ. 3;

¹² ირიბი ჩვენებები, საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2016, თბილისი, გვ. 19-20. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/iribi-chvenebebi1.pdf>

სსკ-ის მე-3 მუხლის 25-ე ნაწილის თანახმად, მტკიცებულება არის საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშან-თვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან და შეიძლება დანაშაულის აღმოჩენის, დამნაშავის დადგენის ან ბრალდების უარყოფის თუ დადასტურების საშუალება იყოს.

ნივთიერი მტკიცებულება ნებისმიერი ობიექტია, რომლისთვისაც დამახასიათებელია მტკიცებულებითი ინფორმაციის ნიშან-თვისებები და რომელიც მოპოვებული და დართულია სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ეს შეიძლება იყოს თითის ანაბეჭდი, ფეხის კვალი, სისხლის კვალი, სიგარეტის ნაშენი, დოკუმენტები, სატრანსპორტო საშუალების საბურავების პროტექტორების კვალი, აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, თხევადი ნივთიერებები და ა.შ.¹³ აქვე, კოდექსი ადგენს, რომ შედარებითი კვლევის ნიმუში შენაცვლებადი ნივთიერი მტკიცებულებაა.¹⁴

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იმისათვის, რომ ნივთიერებამ შეიძინოს მტკიცებულების სტატუსი, თავის მხრივ, ის უნდა აკმაყოფილებდეს ფორმალურ მოთხოვნებს მის ამოღება-დამაგრებასთან დაკავშირებით, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს: მის მოპოვებას კანონმდებლობით დადგენილი წესით და შესაბამისი საპროცესო საშუალებით; მის დამაგრებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და, მტკიცებულების ავთენტიკურობას.¹⁵

1.5 დოკუმენტი, როგორც მტკიცებულება

სსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის მეორე წინადადების შესაბამისად, დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-

¹³ მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, ჩომახაშვილი, ე., თომაშვილი, თ., ძებნიაური, გ., ოსეთაშვილი, ს., პატარიძე, მ., თბილისი, 2016 წელი, გვ. 23;

¹⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი ნაწილი;

¹⁵ მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, ჩომახაშვილი, ე., თომაშვილი, თ., ძებნიაური, გ., ოსეთაშვილი, ს., პატარიძე, მ., თბილისი, 2016 წელი, გვ. 23;

ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო, კინო, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

დოკუმენტს კი მტკიცებულებითი ძალა აქვს მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტიკურია. სსსკ-ის 78-ე მუხლის მიხედვით, დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება დასაშვებია მტკიცებულებათა, თუ მხარეს შეუძლია მოქმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა/შექმნა იგი ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე.

არსებობს სამი კუმულაციური სპეციალური წინაპირობა, რათა დოკუმენტს მიენიჭოს მტკიცებულებითი ძალა: 1. ცნობილია მისი წარმომავლობა; 2. ავთენტიკურია; 3. შესაძლებელია დაკითხოს პირი, რომელმაც შექმნა/მოიპოვა ან ვისთანაც ინახებოდა დოკუმენტი სასამართლოში წარდგენამდე.¹⁶

დოკუმენტის წარმომავლობა გულისხმობს, რომ ცნობილია მისი შედგენის დრო, ადგილი, ვითარება, შემდგენელი პირი, მასში ცვლილებების შეტანის საფუძველი და თარიღი, მასში ასახული ინფორმაციის საფუძველი და სხვა გარემოებები, რომლებიც მიუთითებს მის წარმომავლობაზე.¹⁷

დოკუმენტის ავთენტიკურობა ნიშნავს, რომ დოკუმენტი ნამდვილია, არ არის სახეშეცვლილი, მოდიფიცირებული, მასზე აღბეჭდილი ხელმოწერა ნამდვილად ეკუთვნის მითითებულ პირს და ა.შ. ავთენტიკურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი შესაძლებელია იყოს ხელმოწერის ნამდვილობა. ცალკეულ შემთხვევებში მხარე შესაძლებელია სადავოდ არ ხდიდეს ხელმოწერის ნამდვილობას, მაგრამ სადავოდ ხდიდეს დოკუმენტის ტექსტუალურ ნაწილს და მიუთითებდეს, რომ ის გაყალბებულია (მასში მოგვიანებით იქნა ჩამატებული გარკვეული ტექსტი, რომელიც არ არსებობდა ხელმოწერის მომენტში). ოფიციალური დოკუმენტი ავთენტიკურია, თუ შეიცავს შესაბამისი კატეგორიის დოკუმენტისათვის დადგენილ ყველა რეკვიზიტს: მითითებას გამომცემი ორგანოს შესახებ, უფლებამოსილი

¹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, რედ. ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI)“, გორგაძე, გ., 2015, გვ. 275;

¹⁷ ჩომახაშვილი, ე., თომაშვილი, თ., ძეგნიაური, გ., ოსეფაშვილი, ს., პატარიძე, მ., მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, 2016, თბილისი, გვ. 24;

თანამდებობის პირის ხელმოწერას, ორგანიზაციის ბეჭედს/შტამპს, სარეგისტრაციო ნომერს და ა.შ.¹⁸

დოკუმენტის დაყოფა ნივთიერ მტკიცებულებად და დოკუმენტად მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საპროცესო კოდექსი დოკუმენტისგან განსხვავებით სპეციალურ წესებს ითვალისწინებს ნივთიერი მტკიცებულების შენახვისთვის, აღგენს ნივთიერი მტკიცებულების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესებს სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე და დამთავრების შემდეგ და ა.შ.¹⁹

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 79-ე და 81-ე მუხლები არეგულირებს სწორედ ნივთიერი მტკიცებულების შენახვისა და ნივთიერი მტკიცებულებების ბედის გადაწყვეტასთან დაკავშირებულ სპეციალურ წესებს სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე და დამთავრებისას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დოკუმენტი სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა, რომლის დასაშვებობა სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო სხდომაზე პირობითია, გარდამავალი და დამოკიდებულია სამომავლოდ შესასრულებელ პირობაზე, რომ აუცილებლად დაიკითხება მისი მომპოვებელი/შემქმნელი და ა.შ. ამ მხრივ, მსჯელობა შეიძლება განვითარდეს ვრცლად, ვინაიდან დოკუმენტის, როგორც მტკიცებულების მოპოვება უნდა განხორციელდეს მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბვებითობის დაცვით.

1.6 პრეიუდიცია

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება: ა) საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი; ბ) განაჩენი ნასამართლობაზე; გ) სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუ პროცესის

¹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, რედ., ამერიკის ორისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI)“, გიორგაძე, გ., 2015, გვ. 276;

¹⁹ იქვე, გვ. 279;

არცერთი მონაწილე მათ საეჭვოდ არ ხდის; დ) ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან.

მხარეს შეუძლია საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი სადავო გახადოს ორ გარემოებაზე აპელირებით: 1. სასამართლოს მიერ გაკეთებული ამ ფაქტობრივი გარემოების განმარტება/შეფასება არ არის ზუსტი; 2. ეს გარემოება არ არის საყოველთაოდ ცნობილი.

ა.მ ბებრუკოვის განმარტებით, პრეიუდიცია გამოიხატება საქმეში მონაწილე მხარეებისა და მათი უფლებამონაცვლეების მიერ იმ ფაქტებისა და სამართალურთიერთობათა გასაჩივრების დაუშვებლობაში, რომელიც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.²⁰

საქმეში ბროკმენტი ვაიომინგის წინააღმდეგ კი ამერიკის შეერთებული შტატების სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დოქტრინა პრეიუდიციის თაობაზე გამორიცხავს სასამართლოს მიერ განხილული საკითხების ხელახლა განხილვას. სარჩელების ხელახალი განხილვა აკრძალულია დოქტრინით, რომელსაც ეწოდება Res Judicata (უკვე გადაწყვეტილი საქმე).²¹

საქართველოს საპროცესო კოდექსი კი ასხვავებს პრეიუდიციული ფაქტის უარყოფის და პრეიუდიციული ფაქტის გამოყენებაზე უარის თქმის ინსტიტუტს.²² კერძოდ, სსსკ-ის 73-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტის უარყოფის უფლება ენიჭება მხოლოდ სასამართლოს, მაგრამ მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. შესაბამისად, თუ პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტობრივი გარემოების კანონიერება სასამართლოს ეჭვს იწვევს, ეჭვის დასაბუთებულობის ხარისხის მიუხედავად, სასამართლოს არ შეუძლია საკუთარი ინიციატივით აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების უარყოფა. მაგრამ ამავე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თუ სასამართლო საეჭვოდ მიიჩნევს სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, აღნიშნული გარემოების გამოყენება გამოკვლევის გარეშე არ დაიშვება, მიუხედავად იმისა, რომ: ა) მისი იურიდიული ძალის უარყოფა ფორმალურად არ განხორციელდება მხარის

²⁰ А. М. Безруков, Преюдициальная связь судебных актов, Москва, 2007, с. 39;

²¹ Brockman v Wyoming, dep.of family services, 342r, 3d, 1159, 1166, 10th cr 2003;

²² ჩომახაშვილი, ქ., თომაშვილი, თ., ძეგნიური, გ., ოსეთაშვილი, ს., პატარიძე, მ., მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, 2016, თბილისი, გვ. 26;

შუამდგომლობის არარსებობის გამო, და ბ) მხარეები შესაძლებელია მხარს უჭერდნენ განაჩენით დადგენილი აღნიშნული გარემოების გამოკვლევის გარეშე გამოყენებას.²³

II. მხარეთა მიერ მტკიცებულებათა მოპოვების უფლება

2.1. მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა

მხარეთა შეჯიბრებითობის უზრუნველყოფა ევალუება სასამართლოს, თუმცა სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა. მტკიცებულებათა მოპოვება, წარდგენა და გამოკვლევა მხარეების კომპეტენციაა.

მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ი დაცვის მხარეს ანიჭებს უფლებას ჩაატაროს პარალელური გამოძიება, ცალკეულ შემთხვევაში აღნიშნული უფლების რეალიზება, ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე, საჭიროებს დახმარებას პროცესის მწარმოებელი ორგანოს მხრიდან. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი არეგულირებს აღნიშნულ ვითარებას და ადგენს სასამართლოს „პროაქტიულ“ დახმარებას დაცვის მხარისთვის, თუ მტკიცებულების მოპოვებისთვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებულს/ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს ანდა საჭიროებს სასამართლოს ნებართვას.²⁴

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, თუ რას გულისხმობს მტკიცებულებების მოპოვებისა და წარდგენის უფლება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილი ანიჭებს ბრალდებულს უფლებას: დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება, მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების

²³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, რედ., ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI)“, გორგაძე, გ., 2015, გვ.255;

²⁴ მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, ჩომახაშვილი, ე., თომაშვილი, თ., ძებნიაური, გ., ოსეთაშვილი, ს., პატარიძე, მ., 2016, თბილისი, გვ. 12;

უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად; მონაწილეობა მიიღოს მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში, მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების დროს. აღნიშნული უფლება ემსახურება იმას, რომ ბრალდებულს გააჩნდეს სისხლის სამართლის პროცესში ეფექტიანი დაცვისთვის საკმარისი საშუალებები.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ შეჯიბრებითი პროცესის პირობებში მტკიცებულებების სასამართლოში წარმოდგენასა და გამოკვლევაზე პასუხისმგებელნი არიან თავად მხარეები. ამიტომ ბრალდების ჯეროვანი დაცვის უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელს კანონმდებელი აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად მოიპოვოს და წარადგინოს სასამართლოში მტკიცებულებები საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების გზით. ამ შემთხვევაში დაცვის მხარე ბრალდების მხარისგან დამოუკიდებლად განსაზღვრავს გამოძიების ფარგლებსა და ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებებს. ამასთან, ბრალდების მხარე ვალდებულია, ხელი არ შეუშალოს ბრალდებულს გამოძიების წარმოებაში. უფრო მეტიც, ცალკეულ შემთხვევებში იგი ვალდებულია, დაცვის მხარეს ხელი შეუწყოს საგამოძიებო მოქმედების განხორციელებაში. მაგალითად, თუ ბრალდებულის ან მისი ადვოკატის ინიციატივით ტარდება ექსპერტიზა და ექსპერტიზის კვლევის ობიექტი მეორე მხარესთან ინახება, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იგი ვალდებულია გადასცეს ობიექტი ექსპერტიზის ინიციატორი მხარის ექსპერტს.

იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულს შესაძლოა არ გააჩნდეს საკმარისი კომპეტენცია და უნარი გამოძიების საწარმოებლად და საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად, იგი უფლებამოსილია ამ უფლების რეალიზაცია მოახდინოს ადვოკატის მეშვეობით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბრალდებულს შესაძლოა აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდეს პატიმრობა, ადვოკატის გარეშე იგი ვერ შეძლებს მინიჭებული უფლების - დაცვის მხარის ინიციატივით, ბრალდებულსა და მის ადვოკატს უფლება აქვთ დაესწრონ საგამოძიებო მოქმედების - განხორციელებას. ამასთან, ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს ყველა იმ საგამოძიებო მოქმედებაში ადვოკატის დასწრება,

რომელიც ტარდება მისი მონაწილეობით, იმის მიუხედავად, თუ რომელია აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ინიციატორი მხარე. დაცვის მხარის მიერ გამოძიებისა და საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების პირობები და წესი რეგულირდება საპროცესო კოდექსის ცალკეულ მუხლებში.²⁵

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლი ეხება ბრალდებულის უფლებას, თვითონ ან/და ადვოკატის დახმარებით, მოიპოვოს მტკიცებულებები. აღნიშნული ნორმა შინაარსობრივად ავსებს საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილით უზრუნველყოფილ ბრალდებულის უფლებას მტკიცებულებების მოპოვებასა და წარდგენასთან დაკავშირებით.

ამ ნორმებით განისაზღვრება დაცვის მხარის მიერ ცალკეულ შემთხვევებში მტკიცებულების მოსაპოვებლად საჭირო საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების სამართლებრივი მექანიზმი და მოპოვებული მტკიცებულების იურიდიული ძალა. ამასთან, კანონმდებელმა მტკიცებულებების მოპოვებისთვის დამატებითი ბერკეტები შექმნა. კერძოდ, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ მტკიცებულების მოპოვებისთვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისთვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებების მოპოვება.²⁶

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან, კომერციული თუ სხვა სახის კერძო დაწესებულებიდან, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად.²⁷

შესაბამისად, დაცვის სტრატეგიიდან გამომდინარე, დაცვის მხარე აწარმოებს პარალელურ გამოძიებას და სასამართლოში წარადგენს იმ მტკიცებულებებს,

²⁵ იქვე, გვ. 183;

²⁶ სსსკ-ის 39(2) მუხლი;

²⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რედ. ჯ.გახოკიძე, მ.მამნიაშვილი, ი.გაბისონია, თბილისი, 2013, გვ.154-155;

რომელიც ამართლებენ ან სხვაგვარად ამსუბუქებენ ბრალდებულის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რაც გულისხმობს დაცვის მხარის მიერ საკუთარი ხარჯებით მტკიცებულებების მოპოვებას. მაგალითად, თუ მტკიცებულების გამოსავლენად საჭიროა ექსპერტიზა, მისი ჩატარების ხარჯებს თავად მხარე უზრუნველყოფს. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ბრალდებული გადახდისუუნაროა და მისი დაცვა ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე, სახელმწიფო დაფარავს ყველა იმ ხარჯს, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული ბრალდებულის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებასთან.²⁸

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-14 ნაწილში მითითებული ბრალდებულის უფლებები გამომდინარეობს სისხლის სამართლის პროცესის სამართლიანობის და შეჭიბრებითობის პრინციპიდან, რომლებიც ამ უკანასკნელს სისხლის სამართლის პროცესში აქტიური მონაწილეობისა და პროცესის მსვლელობაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას აძლევს.²⁹

მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კოდექსის ზოგადი ნორმების თანახმად, ბრალდებისა და დაცვის მხარე თანაბრად არიან უფლებამოსილნი კანონით დადგენილი წესის დაცვით მოიპოვონ მტკიცებულება, ისევე როგორც მათ მტკიცებულებათა მოპოვებისას აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები, არსებობს გარკვეული გამონაკლისები, რომელიც დაცვის მხარეს უსვობს შესაძლებლობას ბრალდების მხარისგან განსხვავებით, მოიპოვოს მტკიცებულება ან ისეთივე პირობებში გამოიკვლიოს მტკიცებულებები, როგორც ეს გათვალისწინებულია ბრალდების მხარის შემთხვევაში. საუბარია ბრალდების მხარისთვის კანონით მინიჭებულ უფლებაზე, ჩაატაროს ფარული საგამოძიებო მოქმედებები ან მოიპოვოს მტკიცებულება კომპიუტერული მონაცემებიდან, (სსსკ-ის 136-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილები არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი, ასევე, 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი), მოითხოვოს მაგისტრეტი მოსამართლის მიერ მონაწილის დაკითხვა თუ ეს მონაწილე უარს აცხადებს ნებაყოფლობით ინფორმაციის მიწოდებაზე.³⁰ ასევე, სხვადასხვა სახელმწიფო დანესებულებიდან გამოითხოვოს

²⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, რედ., ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI), გიორგაძე, გ., 2015, გვ. 189;

²⁹ მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, ჩომახაშვილი, ე., თომაშვილი, თ., ძებნიაური, გ., ოსეფაშვილი, ს., პატარიძე, მ., თბილისი, 2016 წელი, გვ. 14;

³⁰ სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილი;

დოკუმენტი თუ ნივთიერი მტკიცებულება.³¹ ისევე როგორც დაცვის მხარეს არ ეძლევა საშუალება, თვითონ ჩაატაროს და გამოიკვლიოს მისი შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული სასამართლოს განჩინებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები ან საგამოძიებო მოქმედება ჩაატაროს გადაუდებელი აუცილებლობით, როგორც ამას აკეთებს ბრალდების მხარე.³²

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საგამოძიებო მოქმედება მნიშვნელოვანია საქმეზე ობიექტური გარემოებების დასადგენად, დაცვის მხარისთვის დაწესებული აღნიშნული შეზღუდვები, ჩემი აზრით, წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს პრინციპის შემადგენელი უფლებრივი კომპონენტების, თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების მნიშვნელოვან დარღვევას და ვერ უზრუნველყოფს მხარეთა თანაბარ პირობებს.

თუმცა როგორც თავდაპირველად აღვნიშნე, შეუძლებელია ბრალდებისა და დაცვის მხარეთა შორის მტკიცებულებათა მოპოვებისას არსებითი და აბსოლუტური თანასწორობის ჩამოყალიბება, ვინაიდან გააზრებული მაქვს რა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების არსი, სასჯელის მიზნები, შესაბამისად, მიმაჩნია, რომ როგორც მსჯავრდება, ასევე განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი. აღნიშნული კი მიიღწევა მხოლოდ მთლიანი პროცესის სამართლიანად წარმართვის გზით. რაც შეეხება ჩემს მიერ ზემოთ ასახულ დარღვევებს, აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით როგორც საპროცესო კანონმდებლობაში, ასევე პრაქტიკაში ხარვეზების გამოსწორების პოლიტიკა ტენდენციურია. ვინაიდან ეტაპობრივად სწორდება და სამართლიანი სასამართლოს უფლების სტანდარტების ფარგლებში ექცევა ის აქტუალური საკითხები, როგორცაა განხორციელებული ცვლილებები ჩხრეკა/ამოღებაზე, პირველადი გამოკვლევის დროს დაცვის მხარის დასწრების უფლებაზე, ასევე სსსკ-ის 136-ე მუხლით გათვალისწინებული ბერკეტი ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე ნაწილობრივი მონიტორინგის გზით, მაგრამ სახელმწიფოს კვლავ აკისრია პოზიტიური ვალდებულება საპროცესო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის მეშვეობით აღმოფხვრას ისეთი ხარვეზები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სსსკ-ის 136-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილების ნორმატიულ შინაარსში ამოიკითხა.

³¹ სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილი;

³² სსსკ-ის 112-ე მუხლი;

2.1.1 მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის არსი როგორც სსსკ-ის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკისა და ასევე ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით კი, მხარეს უფლება აქვს ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, რომ მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესში მხარეს წარმოადგენს ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი და პროკურორი, ხოლო მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა საქმის წარმოების პროცესში გამოიხატება იმით, რომ პროცესში მხარეები თანაბარი უფლებებით არიან აღჭურვილნი და თანაბარი შესაძლებლობები აქვთ თავიანთი ინტერესების დასაცავად გამოიყენონ კანონით რეგლამენტირებული პროცესუალური საშუალებები.³³

სასამართლოში მხარეების ასეთი თანასწორუფლებიანობა გამოიხატება მათ მატერიალურ-სამართლებრივ და პროცესუალურ მდგომარეობაში. მათ უფლება აქვთ სასამართლომდელ გამოძიებასა და სასამართლოში მათთვის საჭირო საკითხის გასარკვევად წარადგინონ შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე; სასამართლოს ან მის რომელიმე წევრს მისცენ აცილება და სხვ.³⁴

შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, პირველ რიგში, გულისხმობს მხარის უფლებას „იყოს მოსმენილი“. შესაბამისად, შეჯიბრებითობა

³³ ჩომახაშვილი, ქ., თომაშვილი, თ., ძეგნიური, გ., ოსეთაშვილი, ს., პატარიძე, მ., მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, 2016, თბილისი, გვ. 7-8;

³⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რედ. გაბოკიძე, ჯ., მამნიაშვილი, მ., გაბისონია, ი., 2013, თბილისი, გვ.84;

უზრუნველყოფს ორივე მხარის შესაძლებლობას, მოიპოვოს და წარმოადგინოს საკუთარი მტკიცებულებები; უფლებას, გაეცნოს, გამოიკვლიოს და საკუთარი მოსაზრება გამოთქვას მონინაალმდევე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, კერძოდ კი, მასალებთან, შუამდგომლობასა და საჩივართან დაკავშირებით.³⁵

ამრიგად, შეჯიბრებითობის პრინციპის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს - მხარეთა თანაბარი უფლება მტკიცებულების მოპოვებაზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკით, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი ერთმანეთთან არსებითად დაკავშირებული ელემენტებია. მხარეთა თანასწორობა გულისხმობს იმას, რომ ორივე მხარეს თანაბრად მიუწვდება ხელი ყველა საპროცესო უფლებაზე, ე.ი. მათ ერთნაირი საპროცესო უფლებები გააჩნიათ, მათ შორის, მტკიცებულებების მოპოვებისა და წარდგენის თანაბარი შესაძლებლობა და ისინი არ ექვემდებარებიან განსხვავებულ მოპყრობას, რაც რომელიმე მხარის არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებას გამოიწვევდა. მხარეთა თანასწორობა უზრუნველყოფს მთლიანი პროცესის შეჯიბრებითობას. შეჯიბრებითობა კი, თავის მხრივ, განაპირობებს მთლიანი სასამართლო პროცესის (წინა საგამოძიებო ეტაპის ჩათვლით) სამართლიანობას. ამგვარად, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვა „სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების“ მიღების წინაპირობას წარმოადგენს.³⁶

³⁵ Laukkanen and Manninen v Finland, ECtHR, 03/02/2004, §34; Kamasinski vs. Austria, ECtHR, 19/12/1989, §102; Brandstetter v. Austria, ECtHR, 28/08/1991, § 67; Rowe and Davis v. UK, ECtHR, (GC), 16/02/2000, § 60; Fitt v. UK, ECtHR, (GC), 16/02/2000, §44; IJL, GMR and AKP v. UK, ECtHR, §112; Goc v Turkey, ECtHR, (GC), 11/07/2002, §34; Meftah v. France, ECtHR, (GC), 26/07/2002, §51; PG and JH v. UK, ECtHR, 25/09/2001, §67; JJ v the Netherlands, ECtHR, 27/03/1998, §43; Ernst et al. v Belgium, ECtHR, 15/07/2003, §60; Duricz-Costes v France, ECtHR, §32; Skondrianos v Greece, ECtHR, 18/12/2003, §29.

³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „8“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-19,20;

ამრიგად, თუ შეჯიბრებით სისტემაში, დაცვის მხარეს არ აქვს შესაძლებლობა, განახორციელოს სათანადო საგამოძიებო პროცედურები, მაშინ ამგვარი სისტემის არსს აზრი ეკარგება. შეჯიბრებით სამართალწარმოებაში, მნიშვნელოვანია, ბრალდებულს გააჩნდეს ჭეშმარიტი/წამდვილი და რეალური შესაძლებლობა, წარადგინოს საკუთარი პოზიცია ეფექტიანად.³⁷ ევროპული სასამართლოს განმარტებით, ნაციონალური სასამართლოები უნდა დარწმუნდნენ, რომ ბრალდებულს აქვს თანაბარი უფლებები სამართლიან სასამართლოზე, მათ შორის, დაცვის უფლების გათვალისწინებით.³⁸ აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის პროცესში სახელმწიფოს უპირველეს ვალდებულებას ისეთი გარანტიების შექმნა წარმოადგენს, რომლებიც ხელს შეუწყობს კონსტიტუციით აღიარებული პრინციპებისა და ნორმების სამართლიან და ყოვლისმომცველ აღსრულებას.³⁹

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის ძირითად შინაარსს წარმოადგენს ბრალდებისა და დაცვის ფუნქციების გამოყოფა მართლმსაჯულების ფუნქციისაგან და მათი გამიჯვნა ერთმანეთისგან, მხარეების აღჭურვა თანაბარი საპროცესო უფლებებით და სასამართლოს დომინირებული როლი გადანაცვეტილების მიღებაში.⁴⁰

თანასწორობა გულისხმობს სამართალწარმოების მხარეებისთვის ერთნაირი საპროცესო უფლებების მინიჭებას.⁴¹

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) პირველი პუნქტით დეკლარირებულია, რომ „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“. ხსენებული ნორმა განსაზღვრავს სამართლიანი სასამართლოს ზოგად კონსტიტუციურ უფლებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სასამართლოში სამართალწარმოების პროცესთან, მის ინიცირებასა თუ აღსრულებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროცედურულ გარანტიებს. „საქართველოს

³⁷ The principle of equality of arms, PhD thesis, J.P.W. Temminck Tuinstra, 2009, p. 12;

³⁸ Goddi v. Italy, ECtHR, (Appl. no. 8966/80), 9 April 1984, § 31;

³⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის #3/2/574 გადანაცვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II.3. 59;

⁴⁰ აქუბარდია, ი., მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში, იხ. მზია ლეკვეიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებულში, 2014, გვ.130;

⁴¹ G.B. v France, ECtHR 02/10/2001, § 58;

კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ქმნის სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ გარანტიას და მოიაზრებს ყველა სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლო წესით სრულყოფილი და ეფექტური დაცვის შესაძლებლობას⁴².

სამართლიანი სასამართლოს უფლება თავისი არსით ინსტრუმენტული უფლებაა. იგი წარმოადგენს გარანტიას, რომ პირს ექნება შესაძლებლობა, სხვადასხვა მატერიალური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვისას თავი დაიცვას სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიული საზოგადოების პრინციპების შესაბამისი სასამართლო პროცესის მეშვეობით⁴³. აღნიშნული კი მოიცავს მრავალ კომპონენტს, „რომელთა ერთობლიობამაც უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, ადამიანების რეალური შესაძლებლობა, სრულყოფილად და ადეკვატურად დაიცვან, აღიდგინონ საკუთარი უფლებები, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლება-თავისუფლებებში ჩარევისას დაიცვან ადამიანი სახელმწიფოს თვითნებობისაგან. შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლების თითოეული უფლებრივი კომპონენტის როგორც ფორმალური, ასევე მატერიალური შინაარსით, საკმარისი პროცედურული უზრუნველყოფა სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა“⁴⁴.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში „მხარეს უნდა ჰქონდეს საქმისწარმოებაზე

⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-9; დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით, გემოხსენებულ გადაწყვეტილებაში მითითებული განმარტება კვლავ განმტკიცებულია, ვერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.

⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტიტკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3;

⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-59;

სამართლებრივი გავლენის მოხდენის, მტკიცებულების იმ პირობებში მოპოვება-წარდგენის და საკუთარი ინტერესების დაცვის გონივრული შესაძლებლობა, რომელიც არ აყენებს მას მონინაალმდევე მხარესთან შედარებით არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში“.⁴⁵ მხარეთა შორის მითითებული ბალანსი მოიცავს სისხლის სამართლის პროცესში საგამოძიებო ღონისძიებებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურ თანასწორობას, ასევე აღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად მოპოვებული სხვადასხვა ხასიათის მტკიცებულებათა საკუთარი პოზიციის დასაბუთებისათვის გამოყენების შესახებ გადანყვეტილების ჩაურევლად მიღებასა და სამართალწარმოებაში მონაწილეობას დამოუკიდებლად განსაზღვრულ სტრატეგიაზე დაყრდნობით.

შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში საპირისპიროდ ინკვიზიციური პროცესისა მინიმალიზებულია სასამართლოს შინაარსობრივი ჩართულობა საქმის გარემოებების გამორკვევაში და იგი შემოიფარგლება მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შეფასებით. ამ პირობებში სამართლიანი სასამართლო პროცესის უზრუნველყოფისათვის განსაკუთრებულ როლს იძენს საქართველოს კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული პროცესის შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპები და მათი თანმხლები საპროცესო გარანტიები.⁴⁶

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი მიზნად ისახავდა პირისათვის სამართლიანი სასამართლოს უფლებით სრულყოფილად სარგებლობის უზრუნველყოფას. იქიდან გამომდინარე, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება აერთიანებს პირის მრავალ საპროცესო შესაძლებლობასა თუ გარანტიას, მისი შემადგენელი უფლებები კომპონენტები შესაძლოა დაცული იყოს დასახელებული მუხლის სხვადასხვა პუნქტში. ამასთანავე, 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ახდენდა სამართლიანი სასამართლოს უფლების ზოგად რეკლამენტაციას და თავის თავში მოიაზრებდა ყველა იმ უფლებრივ კომპონენტს,

⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650,699 გადანყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8;

⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N1/4/809 გადანყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტიტკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6;

რომლებიც დაცული არაა ამავე მუხლის სხვა პუნქტებით, თუმცა სამართლიანი სასამართლოს შემადგენელი ნაწილია. ამგვარ უფლებრივ კომპონენტს წარმოადგენს მხარეთა თანასწორობა და შეჭიბვრებითობა, რომელიც სწორედ კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში ექცეოდა. რაც შეეხება „მსუსხავ“ ეფექტს, იმ კუთხით, რომ მსგავსი რეგულაციის პირობებში დაცვის მხარემ შესაძლოა საერთოდაც უარი თქვას მისი უფლების რეალიზაციაზე და არ მიმართოს სასამართლოს მტკიცებულების ამოღების შუამდგომლობით, აღნიშნული არგუმენტაცია არ უკავშირდება მხარეთა შორის თანასწორობისა და შეჭიბვრებითობის პრინციპის დარღვევას და იგი მიემართება დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვების პროცესს და შემდგომში ამ მტკიცებულების საკუთარი პოზიციის გასამყარებლად გამოყენებას.⁴⁷

სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორობის უფლება გულისხმობს არა მხარეთა სრულ, ტოტალურ გათანაბრებას, არამედ მათთვის გონივრულობის ფარგლებში თანაბარი შესაძლებლობის მინიჭებას, დაცვის მხარის აღჭურვას იმგვარი საპროცესო უფლებებით, რომ შეძლოს ბრალდების მხარესთან კონკურენცია, სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენა. ამ კონტექსტში არ უნდა არსებობდეს იმგვარი საკანონმდებლო მოწესრიგება, რომელიც ბრალდების მხარეს ჩააყენებს უპირატეს მდგომარეობაში, მიანიჭებს მას რაიმე ისეთ პრივილეგიას, რომლის დაბალანსებაც მთლიანი პროცესის განმავლობაში ვერ მოხდება და დაცვის მხარე არსებითად უარეს სამართლებრივ მდგომარეობაში აღმოჩნდება. აღსანიშნავია, რომ დაცვის მხარის შუამდგომლობით ამოღებული ობიექტის პირველად გამოკვლევას ახდენს ბრალდების მხარე. ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ მხარეს გააჩნია საგამოძიებო მოქმედების შედეგად ამოღებული ობიექტის პირველადი გამოკვლევის უფლება, თავისთავად არ გულისხმობს მხარეთა შორის თანასწორობისა და შეჭიბვრებითობის პრინციპის დარღვევას, თუ მეორე მხარესაც გააჩნია ამ ობიექტის გამოკვლევის, შესწავლისა და გამოყენების შესაძლებლობა. ერთი მხარისათვის დროში ან რიგითობაში უპირატესობის მინიჭება ვერ გამოიწვევს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტში ჩარევას, თუ მეორე მხარესაც ექნება მოგვიანებით ანალოგიური პროცედურის გამოყენებით კონკრეტული ობიექტის გამოკვლევის უფლება. სისხლის სამართლის პროცესში მხარის ინტერესს წარმოადგენს

⁴⁷ იქვე, II-9;

მტკიცებულების გამოკლევა ინფორმაციის მიღებისა და მისი გამოყენების მიზნით. თუ აღნიშნული ინტერესი ობიექტურად დაკმაყოფილებადია და მხარეს ეძლევა შესაძლებლობა, გონივრულ დროს სისხლის სამართლის პროცესის შესაბამის სტადიაზე გამოიკვლიოს ეს ობიექტი, მაშინ არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ერთი მხარის მიერ პირველი გამოკლევა არღვევს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის უფლებას და მხარე იმყოფება არსებითად უარეს სამართლებრივ მდგომარეობაში.⁴⁸

შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესის სამართლიანი სასამართლოს პრინციპის შესაბამისად წარმართვისა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისათვის უმნიშვნელოვანესია, მხარეებს გააჩნდეთ მტკიცებულებათა მოპოვების, გამოკლევის და, შესაბამისად, სასამართლო პროცესზე მათი პოზიციის დასაბუთების თანაბარი შესაძლებლობა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად კანონმდებელი, ერთი მხრივ, ზღუდავს სახელმწიფოს მოქმედების არეალს დაცვის მხარისათვის საპროცესო გარანტიების მინიჭებით (მაგ., თვითინკრიმინაციის იძულების აკრძალვა, დუმილის უფლება), ხოლო, მეორე მხრივ, დაცვის მხარეს ანიჭებს აქტიური მოქმედების უფლებას არა მხოლოდ მის ხელთ არსებული საშუალებებით, არამედ სახელმწიფო რესურსების გამოყენებითაც იმ შემთხვევაში, როდესაც საგამოძიებო მოქმედება სახელმწიფოს კომპეტენციას წარმოადგენს.⁴⁹

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა ხორციელდება არამხოლოდ სასამართლო განხილვის ეტაპზე, არამედ გამოძიების სტადიაზეც. შეჯიბრებითი პროცესი სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება სამძებრო და შერეული პროცესისგან.⁵⁰

მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა მოქმედებას იწყებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე. „მაგრამ არ მოქმედებს გამოძიების სტადიის იმ ნაწილზე, რომელიც ხორციელდება ერთი მხარის არსებობის პირობებში, სანამ გამოძიების ორგანოს მიერ არ იქნება იდენტიფიცირებული დაცვის მხარე და არ დაიწყება კონკრეტული პირის მიმართ

⁴⁸ იქვე, II-19;

⁴⁹ იქვე, II-22;

⁵⁰ აქუბარდია, ი., შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი, იხ. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის N2 ჟურნალში, 2016 - www.dgstz.de, გვ. 12;

სისხლისსამართლებრივი დევნა“.⁵¹ დამოუკიდებლად გამოძიების ჩატარების შედეგად, მხარეები მოპოვებულ ინფორმაციას, მასალებს წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე ერთმანეთს და სასამართლოს წარუდგენენ.⁵²

როგორც აღინიშნა, ბრალდების მხარის თანახმად, დაცვის მხარე უფლებამოსილია ჩაატაროს პარალელური გამოძიება. მხარეებს უფლება აქვთ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების გზით მოიპოვონ მტკიცებულებები. თუმცა ყველა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლებამოსილება დაცვის მხარეს არ გააჩნია (მაგ., ფარული საგამოძიებო მოქმედებები და ა.შ.). თანაც კანონით ნებადართული საგამოძიებო მოქმედების სრულად ჩატარება დაცვის მხარისთვის ცალკეულ შემთხვევებში პრობლემურია. მაგალითად, სსსკ-ის თანახმად, დაცვის მხარეს 2013 წლიდან უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით კონსტიტუციური უფლებების შემზღვეველ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების თაობაზე ნებართვის გაცემის მოთხოვნით. მაგრამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N1/4/809 გადაწყვეტილების მიღებამდე დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების, აგრეთვე, ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის პირველადი გამოკვლევის უფლება აქვს ბრალდების მხარეს (არაკონსტიტუციურად ცნობილი სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი ძალადაკარგულად გამოცხადდა 2019 წლის 30 ივნისიდან). სამართლიანობა მოითხოვს, რომ ამოღებული საგნის ან დოკუმენტის ბრალდების მხარის მიერ პირველადი გამოკვლევის პროცესს ესწრებოდეს დაცვის მხარეც და ამ პროცესში მისი თანამონაწილეობით მხარეთა თანასწორობა იყოს დაცული.⁵³

„ყველაზე უკეთ მხარეთა შეჯიბრებითობა სასამართლო განხილვის პროცესზე ვლინდება, ვინაიდან შეჯიბრებითობა მოითხოვს, რომ მოსმენილ იქნას ორივე მხარის არგუმენტაცია და ორივე მხარეს ჰქონდეს შესაძლებლობა შესაბამისი კომენტარი გააკეთოს მეორე მხარის მიერ წამოყენებულ არგუმენტებსა და

⁵¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, რედ. გიორგაძე, გ., თბილისი, 2015, გვ.84;

⁵² აქუბარდია, ი., შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი, იხ. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის N2 ჟურნალში, 2016 - www.dgstz.de, გვ. 12;

⁵³ იგივე;

მტკიცებულებაზე იმის მიუხედავად, სასამართლო სხდომა ზეპირი ფორმით წარიმართება თუ წერილობით“.⁵⁴

ადვოკატის დახმარების უფლება ბრალდებულს გარანტირებული უნდა ჰქონდეს იმ დანაშაულის საქმეზე, სადაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, მით უფრო, კლასიკური ფორმის შეჯიბრებით სამართალწარმოებაში, სადაც ბრალდებას შეუძლებელია მართო ბრალდებული დაუპირისპირდეს კვალიფიციური, გამოცდილების მქონე ადვოკატის დახმარების გარეშე. სხვაგვარად, შეჯიბრებითობა არარეალისტური იქნება, რადგან მხარეები ფორმალურადაც ვერ იქნებიან თანაბარ მდგომარეობაში.⁵⁵

2.2. სასამართლო განჩინების საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები

სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ძირეული რეფორმა 2009 წელს განხორციელდა, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. რეფორმის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისგან განსხვავებით, რომელიც ინკვიზიციურ მოდელზე იყო აგებული, ახალი კოდექსი მიზნად ისახავდა, სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპის განმტკიცებას, მათ შორის, გამოძიების სტადიაზე.⁵⁶

ამ მიმართულებით, რეფორმის ერთ-ერთ ძირეულ ნოვაციას წარმოადგენდა მონშეების მიერ გამოძიების სტადიაზე ჩვენების მიცემის სავალდებულო ხასიათის გაუქმება. ამასთან, აღინიშნა, რომ ჩვენების მიცემის ნებაყოფლობითობის პრინციპი შესაძლოა ითვალისწინებდეს გარკვეული სახის გამონაკლისებს. დადგენილი წესიდან გადახვევა გამართლებული უნდა ყოფილიყო

⁵⁴ გროესტადი, ანნე/რუი, იონ პეტერ, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების გამოყენება სისხლის სამართლის საქმეებზე“, 2012, გვ.25;

⁵⁵ აქებარდია, ი., შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი, იხ. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის N2 ჟურნალში, 2016 - www.dgstz.de, გვ. 13;

⁵⁶ 2005 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგია, შემუშავებული 2004 წლის 19 ოქტომბრის N914 პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, თბილისი, გვ. 3.

საზოგადოებრივად განსაკუთრებით საშიში დანაშაულების გამოძიების და გახსნის საჯარო ინტერესით. თუმცა გარკვევით აღინიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში წინასწარი გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვა ორივე მხარის თანდასწრებით მოსამართლის წინაშე უნდა მომხდარიყო.⁵⁷

მიუხედავად ასეთი დეკლარირებული მიზნებისა, 2016 წლის 20 თებერვალს ამოქმედებული ცვლილებებით არსებითი კორექტივები შევიდა ზემოაღნიშნულ მიზნებსა და ამოცანებში. 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოწმეთა მხოლოდ სასამართლოში დაკითხვის წესის ნაცვლად არსებული ახალი, ალტერნატიული რეგულაცია კი დღეს შესაძლოა გაუმართლებად ზღუდავდეს დაცვის მხარის კონსტიტუციურ უფლებას სამართლიან სასამართლოზე, კერძოდ კი, ეწინააღმდეგებოდეს მის შემადგენელ ელემენტებს: მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს და ბრალდებულის უფლებას მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.⁵⁸

მოცემული თემის ფარგლებში ძირითადად ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე პროცესუალურ საკითხზე. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, „ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაცვის მხარე მოწმის დაკითხვას არ ესწრება“. თავის მხრივ, ამავე მუხლის მე-2 ნაწილი აღგენს: „ბრალდების მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება ასევე დაიკითხოს გამოსაკითხი პირი, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი, და ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს“.

გასათვალისწინებელია, რომ 2009 წლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლი (მისი პირველი ნაწილი) ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც შესაძლებელია საქმის არსებით

⁵⁷ იქვე, გვ. 5.

⁵⁸ 2017 წლის 15 ივნისის N1237 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვასილ საგანელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, გვ.10-11;

განხილვამდე გამოძიების ეტაპზე მოწმის სავალდებულოდ დაკითხვა. ასეთ საფუძველზე წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც:

„ა) არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის მოწმედ დაკითხვას სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს;

ბ) იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს;

გ) არსებითად განსახილველად საქმის სასამართლოში წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს;

დ) ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.“

მოწმედ დაკითხვა მაგისტრატ მოსამართლესთან შესაძლებელია აგრეთვე საქართველოს მიერ საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებების საფუძველზე.

განმარტებითი ბარათის თანახმად, აღნიშნული გამონაკლისები „არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ბრალდების მხარემ მოიპოვოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია პირისაგან, რომელსაც გააჩნია ამგვარი და უარს აცხადებს გამოძიებისათვის ამ ინფორმაციის მიწოდებაზე. კოდექსის ეს აშკარა ხარვეზი ქმნის რეალურ საფრთხეს იმისას, რომ ახალი წესის ამოქმედების შემდეგ შესაძლოა მკვეთრად დაეცეს გამოძიების ეფექტურობა და ეფექტიანობა, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად იმოქმედებს დანაშაულთან ბრძოლის მაჩვენებელზე, საზოგადოებრივ წესრიგსა და ქვეყნის უსაფრთხოებაზე“.⁵⁹

ამგვარად, მიღებული ცვლილებებით, დამატებით შესაძლებელი გახდა მაგისტრატ მოსამართლესთან იძულებით ყველა იმ პირის დაკითხვა, რომლებსაც შესაძლოა გააჩნდეთ გარკვეული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ, მაგრამ გამოკითხვაზე უარს ამბობენ. შესაბამისად, ხდება მათი იძულებით დაკითხვა მაგისტრატ მოსამართლესთან.

⁵⁹ განმარტებითი ბარათი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე (4677-რს), 2015, გვ.2;

საქმეში *Lucà v. Italy* ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მტკიცებულებები ჩვეულებრივ წარმოდგენილ უნდა იქნეს ღია სასამართლო სხდომაზე, ბრალდებულის თანდასწრებით და პაექრობის გზით. ამ პრინციპიდან არსებობს გამონაკლისები, თუმცა მათ არ უნდა დაარღვიონ დაცვის მხარის უფლებები. ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პარაგრაფი ითვალისწინებს დაცვის მხარის უფლებას ჰქონდეს ადეკვატური და სათანადო შესაძლებლობა დაკითხოს ბრალდების მხარის მოწმე, ამ უკანასკნელის მიერ ჩვენების მიცემის დროს ან მოგვიანებით, სასამართლო განხილვის სხვა ეტაპზე.⁶⁰

ამგვარად, სასამართლო საუბრობს ზოგადი წესიდან არსებულ გამონაკლისებზე, როდესაც შესაძლებელია, მოწმის დაკითხვა მოხდეს არა სასამართლო განხილვისას, არამედ სამართალწარმოების სხვა ეტაპზე. თუმცა ზოგადი წესიდან გადახვევას უნდა ჰქონდეს გამამართლებელი მიზეზი, ვინაიდან დაცვის მხარის უფლებების შეზღუდვა უნდა იყოს მკაცრად აუცილებელი.⁶¹

მოცემულ შემთხვევაში „წინასაგამოძიებო“ ეტაპზე მოწმის დაკითხვა დაცვის მხარის დაუსწრებლად არის არა გამონაკლისი, არამედ - ზოგადი წესი და წარმოადგენს საგამოძიებო მოქმედებას, რომელსაც ბრალდების მხარე ატარებს. უნდა გამოვკვეთოთ, რომ მაგისტრატი მოსამართლე არ აფასებს ამ წესით მიღებულ ჩვენებას, უბრალოდ აკვირდება დაკითხვის მიმდინარეობისას მოწმის უფლებების დაცვას. ამასთან, იკვეთება რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს ზოგადი მიდგომის თანახმად, ჩვეულებრივ, ჩვენების შემოწმება უნდა მოხდეს სასამართლო განხილვის დროს.⁶² ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის ასპექტია და უშუალოდ პრინციპის საფუძველს წარმოადგენს.⁶³

აღსანიშნავია, რომ მტკიცებულების მოპოვება და სასამართლოში წარდგენა ერთადერთი სამართლებრივი საშუალებაა მხარის მიერ სასამართლოს გადანყვეტილების მიღებაზე გავლენის მოსახდენად. სისხლის სამართლის

⁶⁰ *Lucà v. Italy* ECHR, 27.05.2001, §39, *Solakov V. "The Former Yugoslav Republic Of Macedonia"*, ECHR, 31.01.2002, § 57;

⁶¹ *Van Mechelen and Others v. the Netherlands*, ECHR, 03.04.2012, § 58;

⁶² *Hümmer v. Germany* , ECHR, 19.10.2012, § 38; *Lucà v. Italy*, § 39; *Solakov v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, § 57; ტრეჟელი, შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2009, თბილისი, გვ. 323;

⁶³ იქვე;

პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და წონადი მტკიცებულება მოწმის ჩვენებაა. სასამართლო გადაწყვეტილებათა დიდი ნაწილი სწორედ მოწმის ჩვენებებს ეყრდნობა. მოწმეთა ჩვენების მნიშვნელობას ხაზს უსვამს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც, რომელიც აღნიშნავს, რომ „ის [მოწმის ჩვენება] შეიძლება იყოს ინფორმაციის ერთ-ერთი, ზოგჯერ კი ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო“.⁶⁴

აქედან გამომდინარე, მოწმის ჩვენების მოპოვების კუთხით ისეთი წესის შემოღება, რაც მხოლოდ ერთ მხარეს ანიჭებს პრივილეგიას, ცალსახად ქმნის არსებით უთანასწორობას და გავლენას ახდენს საქმის საბოლოო გადაწყვეტაზე.

ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობისას ყურადღებას საჭიროებს ისეთი ძირეული პრინციპებიც როგორცაა საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მეორე პუნქტით დადგენილი სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულება ა) ცნოს და ბ) დაიცვას ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები, როგორც წარუვალა და უზენაესი ადამიანური ღირებულებები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფოს მიერ მათი ცნობა, პირველ რიგში, გულისხმობს, მათი, როგორც ყოველი ადამიანის თანმდევ სიკეთის აღიარების ვალდებულებას. დაცვა კი გულისხმობს ამ უფლებებით სრულყოფილად სარგებლობის უზრუნველყოფელი ყველა საჭირო ბერკეტის გარანტირებას, მათ შორის, ამ უფლებების სასამართლოში დაცვის შესაძლებლობის ჩათვლით“.⁶⁵ შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით განსაზღვრული სამართლიანი სასამართლოს უფლება წარმოადგენს სწორედ სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულების გამოვლინებას - სასამართლოზე ხელმისაწვდომობის გზით გახადოს შესაძლებელი ინდივიდთა მიერ უფლებების დაცვა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ცალსახად აღნიშნა, რომ „სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელების ერთგვარი საზომი, გულისხმობს

⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II.3.30;

⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II.3.3;

ყველა იმ სიკეთის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს“.⁶⁶

ამასთან, უდავოა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება მჭიდროდაა დაკავშირებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის არსს.⁶⁷

აღნიშნული მიდგომა ცალსახად მიანიშნებს ამ უფლების დაცვის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და მიუთითებს იმაზე, რომ სამართლიანი სასამართლოს გაუმართლებელმა შეზღუდვამ შესაძლოა გამოუსწორებელი შედეგები მოიტანოს უფლებათა რეალიზაციისა და დაცვის კუთხით და, შესაბამისად, საფრთხე შეუქმნას სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებასაც.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად,⁶⁸ შეჭიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელ ელემენტს.⁶⁹

კერძოდ, „თანასწორობის მოთხოვნა უზრუნველყოფს, რომ მხარეები ერთმანეთთან მიმართებით არ დაექვემდებარონ განსხვავებულ მოპყრობას და რომელიმე არ აღმოჩნდეს არახელსაყრელ მდგომარეობაში“.⁷⁰

ხოლო აღნიშნული, თავის მხრივ, განაპირობებს, იმას, რომ პროცესი შეჭიბრებითობის პრინციპის დაცვით წარიმართება. ეს უკანასკნელი გულისხმობს სწორედ „მხარეებისთვის თანაბარი შესაძლებლობის მინიჭებას, წარადგინონ მათი

⁶⁶ იქვე, პ.14;

⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე „ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პ.1;

⁶⁸ *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, § 33, *Feldbrugge v. the Netherlands*, § 44;

⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის № 3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „8“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II.პ. 16;

⁷⁰ იქვე, II.პ.19;

პოზიციის სასარგებლო მტკიცებულებები, არგუმენტები და ამ გზით მოახდინონ გავლენა გადანვეტილების მიღებაზე⁷¹. შესაბამისად, „შეჯიბრებითობის პრინციპი, სხვა საპროცესო გარანტიებთან ერთად, წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის და საქმეზე „სწორი და სამართლიანი გადანვეტილების“ მიღების უზრუნველყოფის საშუალებას, ინსტრუმენტს“⁷².

ამრიგად, „შეჯიბრებითი პროცესის არსს ქმნის მხარეების შესაძლებლობა, წარმოადგინონ მტკიცებულებები, ახალი ფაქტობრივი გარემოებები...⁷³ ამით კი გავლენა მოახდინონ სწორი და სამართლიანი გადანვეტილების მიღებაზე.⁷⁴

აღსანიშნავია, რომ 136-ე მუხლის პირველ ნაწილში აღწერილი საგამოძიებო მოქმედების შემოღება (კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვა) უნდა განვიხილოთ, როგორც სსსკ-ის 112-ე მუხლით განსაზღვრული საგამოძიებო მოქმედების კონკრეტული შემთხვევა. აღნიშნული განაპირობა ტექნოლოგიური განვითარების შედეგად ინფორმაციის/დოკუმენტის ელექტრონული ფორმის გავრცელებამ, რასაც სსსკ-ს 119-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედება - ამოღება ვერ ფარავს. სწორედ ამიტომ აუცილებელი გახდა ელექტრონული ფორმით დაცული მტკიცებულების მოპოვების ახალი რეჟიმის შემოღება. სასამართლოს განჩინება კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის/დოკუმენტის გამოთხოვის თაობაზე კი გულისხმობს, რომ კომპიუტერულ სისტემაში არსებული ინფორმაციის/დოკუმენტის მფლობელმა პირმა ბრალდების მხარეს უნდა გადასცეს მის კომპიუტერულ სისტემაში შენახული ინფორმაცია/დოკუმენტი.

განსხვავებულია ნორმის გამოყენების და განმარტების საკითხი პრაქტიკაში. თუ დავის მხარე თვლის, რომ მისი პოზიციისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერული მონაცემის შესანახ საშუალებაში ინახება, მან შეამდგომლობით უნდა მიმართოს პროკურორს. ეს უკანასკნელი შეამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ გადანვეტს მიმართოს

⁷¹ იქვე, II.3.21;

⁷² იქვე, II.3.2;

⁷³ იქვე, II.3.17;

⁷⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2014 წლის 23 მაისის N3/1/574 გადანვეტილება საქმეზე “საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II.3. 75;

თუ არაა სასამართლოს კომპიუტერული სისტემიდან მონაცემების გამოთხოვის შესახებ განჩინების გაცემის თაობაზე. იგივე მოსაზრებაა განვითარებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარების სახელმძღვანელოში 136-ე მუხლის ანალიზისას.⁷⁵

ასეთმა პრაქტიკამ შესაძლოა უხეშად დაარღვიოს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი, ვინაიდან პროკურორი მოგვევლინება დაცვის მხარის საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საფუძვლიანობის შემთვასებლად და საბოლოოდ მისი გადასაწყვეტი იქნება, მიმართავს თუ არა სასამართლოს შუამდგომლობით. მაშინ, როცა სისხლის სამართლის პროცესში მხარეები სარგებლობენ მინიმუმ თანაბარი ფორმალური უფლებამოსილებით ჩაატარონ საგამოძიებო მოქმედება, მოიპოვონ, წარადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებები.

ნებისმიერი პროცედურული ნორმა, რომელიც უკავშირდება ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას მიზნად ისახავს დანაშაულის ეფექტური გამოძიების განხორციელებას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მართლმსაჯულების აღსრულებას და, კანონიერი მსჯავრდების საფუძველზე, დამნაშავის დასჯას.

საქართველოს პარლამენტმა სსსკ-ის 136-ე მუხლის ზემოხსენებული რედაქცია 2013 წლის 14 ივნისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შესახებ საქართველოს კანონით მიიღო და გარდამავალი დებულებით 2014 წლის პირველ სექტემბერს შევიდა ძალაში. ამავე კანონის თანახმად, დაცვის მხარეს მიენიჭა სასამართლოს განჩინებით ჩხრეკისა და ამოღების უფლება, რაც ასევე 2014 წლის 1 სექტემბერს შევიდა ძალაში. თუმცა, ამის პარალელურად წინამდებარე კანონის თანახმად, დაცვის მხარისთვის სასამართლოს განჩინებით ჩხრეკისა და ამოღების უფლების მინიჭების თაობაზე ნორმების ძალაში შესვლის დღიდან, ძალადაკარგულად გამოცხადდა დაცვის მხარის საგამონაკლისო უფლება (სსსკ-ის 84-ე მუხლი, № 1772, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 03/11/2009). ამ უკანასკნელის მიხედვით, დაცვის მხარეს უფლება ჰქონდა საქმის

⁷⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, რედ. გიორგაძე, გ., 2015, თბილისი, გვ. 423, პ.3;

არსებით განხილვისას წარედგინა ბრალდების მხარისთვის უცნობი ერთი მტკიცებულება, რომელიც მას დაცვის სტრატეგიისთვის მნიშვნელოვნად მიაჩნდა.

ზემოთ ნახსენები კანონპროექტის თაობაზე იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ მომზადებულ დასკვნაში ვკითხულობთ, რომ დაცვის მხარისთვის ჩხრეკის და ამოღების უფლების მინიჭების პარალელურად ბრალდების მხარის პირველადი გამოკვლევის უფლებით აღჭურვა ემსახურება შეჯიბრებითობის პრინციპის განმტკიცებას. მიმაჩნია, რომ ეს არგუმენტი საფუძველს მოკლებულია შემდეგი მიზეზის გამო: დაცვის მხარისთვის ჩხრეკის და ამოღების უფლების მინიჭებამდე მიიჩნეოდა, რომ მხარეები უთანასწორო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამ უთანასწორობის დასაბალანსებლად დაცვის მხარე სარგებლობდა საგამონაკლისო უფლებით, რაც მას საქმის არსებით განხილვაზე ბრალდების მხარისთვის უცნობი მტკიცებულების წარმოდგენის შესაძლებლობას აძლევდა. შესაბამისად, ბრალდების მხარე მოუმზადებელი ხვდებოდა დაცვის მხარის ახალ მტკიცებულებას, რაც ასუსტებდა მის პოზიციას.

სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე კი, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ჩატარებული საგამომოძიებო მოქმედების შედეგად ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლება ჰქონდა ბრალდების მხარეს. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, პროკურორი განიხილავდა შუამდგომლობის დასაბუთებულობას და შემდგომ იღებდა გადაწყვეტილებას სასამართლოსთვის მიმართვის თაობაზე. სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი და 136-ე მუხლის პირველი ნაწილი იყო ბლანკეტური უფლებაშემზღვევლი ნორმები, რომელთა ბუნდოვანებაც წარმოშობდა არსებითად არათანასწორ პროცესუალურ გარემოს დაცვის მხარისთვის დამატებითი ბერკეტის არქონის გამო. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, პროკურორი თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავდა შუამდგომლობის დასაბუთებულობას, ახლა კი შეიძლება იგი ვალდებულებად დადგინდეს ან პირდაპირ დაცვის მხარე აღიჭურვოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობის დაყენების უფლებამოსილებით.

მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული საკვლევი დებულებების ფორმულირება სასურველია იმდაგვარად შეიცვალოს, რომ დაცვის მხარეს მიენიჭოს შესაძლებლობა ჯეროვნად განახორციელოს ბრალდებულის

დაცვა, რაც მოიაზრებს დაცვის მხარის შესაძლებლობას, სადავოდ გახადოს ბრალდების მხარის მტკიცებულება სასამართლო განხილვისას მის მიერ მოპოვებული საპირისპირო მტკიცებულებით, რომლის მოპოვების უფლებაც შეზღუდული აქვს დაცვის მხარეს.

შეჯიბრებითი პროცესის დროს უმთავრესი და გადამწყვეტი როლი სწორედ მტკიცებულებებს ენიჭებათ, შესაბამისად, კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ისეთი საპროცესო დანაწესის განმტკიცება, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სასამართლო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებების მოპოვების შესახებ შუამდგომლობის წარდგენის შესაძლებლობას.

ვინაიდან ქართული სისხლის სამართლის მართლმსაჯულება სწორედ მხარეთა შეჯიბრებითობას ეფუძნება, სადაც პროცესის ბედს მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებები წყვეტს, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია საქმის განხილვისას დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების შესახებ შუამდგომლობის წარდგენის შესაძლებლობის შეზღუდვა.

შუამდგომლობის დაყენების უფლება, როგორც მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის ერთ-ერთი ნაწილი, თავის მხრივ, პირდაპირ უკავშირდება სამართლიანი სასამართლოს პრინციპს, რომელიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ძირითადი ელემენტია. მართალია, ევროპული სასამართლო არ იკვლევს რა სამართლებრივი თუ ფაქტობრივი შეცდომები დაუშვეს ადგილობრივმა სასამართლოებმა, თუმცა მტკიცებულებათა მოპოვების უფლების შეზღუდვის საკითხს შესაძლოა საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდეს საქმის საბოლოო შედეგზე.⁷⁶

„სამართლიანი სასამართლო განხილვა“ მოითხოვს შეჯიბრებითობას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ბრალდებასა და დაცვის მხარეს უნდა მიეცეთ თანაბარი შესაძლებლობა, გაეცნონ და გამოხატონ თავიანთი პოზიცია მეორე მხარის მიერ

⁷⁶ Nuala Mole and Catharina Harby, (2001, 2006) A guide to the implementation of Article 6 of the European Convention on Human Rights, Council of Europe, Belgium, p. 52;

წარმოდგენილ მოსაზრებებსა და მტკიცებულებებთან დაკავშირებით⁷⁷, მათ შორის, წარადგინონ მტკიცებულებათა მოპოვების თაობაზე შუამდგომლობები. შიდა კანონმდებლობის ფუნქციაა, განსაზღვროს მხარეთა უფლებები და მტკიცებულებათა მოპოვების წესები,⁷⁸ ხოლო საერთო სასამართლოების ფუნქციას კი წარმოადგენს მხარეთა მიერ მოპოვებული მტკიცებულებების შეფასება.⁷⁹

შეჯიბრებითობის პრინციპის ეფექტურად განხორციელებისთვის საჭიროა შესაბამისი საქმის მასალები ხელმისაწვდომი იყოს ორივე მხარისთვის, რათა მხარემ შეძლოს შესაბამისი დაცვის მომზადება. ყველა მტკიცებულება მოპოვებული უნდა იყოს მხარეთა შეჯიბრებითობის პირობებში. თუ დაცვის მხარეს არ ეძლევა შესაძლებლობა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას დააყენოს შუამდგომლობა მტკიცებულებათა მოპოვების თაობაზე, ბუნებრივია, ეს ეჭვქვეშ დააყენებს სასამართლო პროცესის „სამართლიანობას“ და ცხადია, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას.

საქართველოს კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასამართლო დაცვის, იგივე სამართლიანი სასამართლოს საპროცესო უფლებას, რომელიც დღეის მდგომარეობით საქართველოს კონსტიტუციის 31-ე (2018 წლის 16 დეკემბრამდე არსებული რედაქციის მიხედვით - 42-ე მუხლი) მუხლშია ჩამოყალიბებული, რომლის მიხედვით, ყველას შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მისი საქმის სამართლიანი საჯარო მოსმენა, თუ მიაჩნია, რომ დაირღვა მისი უფლებები. ყველას უნდა ჰქონდეს სამართლებრივი შესაძლებლობა პროცესის მიმდინარეობისას გამოთქვას თავისი შეხედულება, რათა ამით გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს თავად პროცესზე და სასამართლო გადაწყვეტილებაზეც.

2018 წლის 16 დეკემბრამდე არსებული რედაქციით გათვალისწინებული 42-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სასამართლო დაცვის ძირითადი

⁷⁷ <https://www.libertyhumanrights.org.uk/human-rights/what-are-human-rights/human-rights-act/article-6-fair-trials> <შესვლის დრო: 13.05.2019>

⁷⁸ “INTERIGHTS”, (2008) სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), სახელმძღვანელო იურისტებისთვის, თბილისი, გვ.82;

⁷⁹ Schenk v. Switzerland, 1988, § 45-46 ;

უფლება ფორმალურად სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას ნიშნავს, ხოლო შინაარსობრივად - ადამიანის საყოველთაო, სრულყოფილ, ყოვლისმომცველ სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს.⁸⁰

შეჯიბრებითობა სასამართლო პროცესზე არის უფლება ნებისმიერი კანონიერი სახის ქმედებაზე. სამართლიანი სასამართლოს არსებობისთვის, ქართულმა კანონმდებლობამ უნდა მიიღოს ისეთი ცვლილებები, სადაც დაცვის მხარე მაქსიმალურად იქნება გახსნილი საკუთარ ქმედებებში და მაქსიმალურად დაცული იქნება ბრალდებულის უფლებები.

ამ კუთხით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემული ნორმების დღეს არსებული ფორმულირება კი ვერ უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესების სრულფასოვან დაცვას, რაც შესაძლოა სასამართლოს გადანწყვეტილების გაუქმების/მცდარობის საფუძველი გახდეს. ამიტომ აუცილებელია ნორმების უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბება, რაც მოსპობს მისი სხვაგვარად გაგება-განმარტების შესაძლებლობას და არასწორი პრაქტიკის განვითარების ალბათობას მინიმუმამდე შეამცირებს.

2.3. დაცვის მხარისათვის ხელმიუწვდომელი საგამოძიებო მოქმედებები

აღსანიშნავია, რომ სასამართლო პრაქტიკა განვითარდა იმგვარად, რომ ინფორმაციის და მტკიცებულების მოპოვება ხორციელდება ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გზით. ამდენად, დღეს გვაქვს ვითარება, რომ ბრალდების მხარეს სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით პირდაპირ აქვს მინიჭებული უფლებამოსილება მიმართოს სასამართლოს გამოძიების პროცესში კერძო პირთაგან ინფორმაციის გამოთხოვის შუამდგომლობით. ეს უფლებამოსილება კი რეალურად არ ხორციელდება. დაცვის მხარეს, სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, ამგვარი გამოთხოვის შესაძლებლობა არ აქვს და მან მტკიცებულება უნდა მოიპოვოს რომელიმე საგამოძიებო მოქმედების (ძირითადად ესაა ჩხრეკა/ამოღება ან დათვალიერება) მოთხოვნის გზით. სასამართლოს მიერ სსსკ-ის ნორმათა (მე-9, 38-ე და 39-ე მუხლები)

⁸⁰ კუბლაშვილი, კ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2005, თბილისი, გვ.336;

ზემოაღნიშნული განმარტება გაუმართლებლად ვიწრო განმარტებად უნდა ჩაითვალოს, თუმცა როგორც ჩანს, დღეს, სასამართლო უკვე შებოჭილია დამკვიდრებული პრაქტიკით და საკანონმდებლო ცვლილებების გარეშე ამ მოცემულობის დაძლევა შეუძლებელი იქნება. ინფორმაციის გამოთხოვის, როგორც ინფორმაციის მოპოვების საპროცესო შესაძლებლობის დადგენა სსსკ-ში მნიშვნელოვნად გაზრდის მხარეთა შესაძლებლობებს მტკიცებულებათა მოპოვების თვალსაზრისით. ინფორმაციის გამოთხოვა ინფორმაციის მოპოვების მარტივი ფორმაა ჩხრეკა/ამოღებასთან შედარებით, რომლითაც ძირითადად ხდება, ინფორმაციის/მტკიცებულების მოპოვება მხარეების მიერ.

კერძოდ: ჩხრეკის/ამოღების ჩატარების აუცილებლობის დასაბუთებისთვის მხარის მიერ გაცხადებით მეტი არგუმენტი და ძალისხმევაა საჭირო, ვიდრე ეს გამოთხოვის დასაბუთებისთვის იქნებოდა საჭირო. ჩხრეკა/ამოღება არის საგამოძიებო მოქმედება, რომელიც პირის კონსტიტუციური უფლებებისთვის პოტენციური საფრთხის შემცველია. შესაბამისად, სსსკ ძალიან დეტალურ წესებს ადგენს ჩხრეკა/ამოღების ჩატარების შესახებ. გამოთხოვა კი, ასეთ რთულ რეგულაციებთან არ არის დაკავშირებული. მხარე მოითხოვს და კერძო ან საჯარო ორგანიზაციის უარის შემთხვევაში, სასამართლოს დახმარებით მიიღებს მისთვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტსა თუ საგანს და არ მოუწევს ჩხრეკა/ამოღების დეტალური რეგულაციების დაცვით მტკიცებულების მოპოვება.

დაცვის მხარის შუამდგომლობით ჩატარებული ჩხრეკა/ამოღების მეშვეობით მოპოვებული ნივთის/დოკუმენტის პირველადი გამოკვლევის უფლება აქვს ბრალდების მხარეს (2019 წლის 30 ივნისამდე), რაც დამატებითი სირთულეა დაცვის მხარის სწრაფი და ეფექტური გამოძიებისათვის; ასევე, დაცვის უფლებისათვის საფრთხეს წარმოადგენს სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილის ჩანაწერი, რომლითაც ბრალდების მხარეს აქვს ამოღებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლება. ამ დანაწესის გამო, ადვოკატები ხშირად უარს აცხადებენ ჩხრეკა/ამოღების შესახებ შუამდგომლობის სასამართლოსადმი წარდგენაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსსკ-ის მე-9 მუხლის მეორე ნაწილი, სადაც საუბარია მხარის უფლებაზე დააყენოს შუამდგომლობა,

მოიპოვოს და გამოითხოვოს ინფორმაცია/მტკიცებულება სასამართლოს მეშვეობით, მიუთითებს, რომ ყველა პროცედურა უნდა ჩატარდეს ამ კოდექსით დადგენილი წესით. მე-9 მუხლში მითითებული ჩანაწერი არის ნორმა პრინციპი, ზოგადი მოქმედების ნორმა, რომელიც მიეკუთვნება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების თავს და მხარის უფლების რეალიზაციაზე მიუთითებს დადგენილ წესზე, რაც ნიშნავს, რომ მხარეს უფლება აქვს მტკიცებულება მოიპოვოს, გამოითხოვოს სასამართლოს მეშვეობით კონკრეტულ შემთხვევებში საგამოძიებო მოქმედებების - კერძოდ, ამოღების, ჩხრეკის, დათვალიერების და ა.შ. ჩატარების გზით და ცალკე გამოთხოვა მე-9 მუხლის მიხედვით არ ხდება. ასევე, განიმარტება სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნორმა, სადაც შეძლებისდაგვარად დაკონკრეტებულია დაცვის მხარისათვის ის შემთხვევა, რომ მტკიცებულების მოპოვება შესაძლებელია საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედების ჩატარების გზით სასამართლოს მეშვეობით. ანუ მტკიცებულების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ კანონით დადგენილი წესით კონკრეტული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარებით, და არა ზოგადად სსსკ-ის მე-9 და 39-ე მუხლების მიხედვით.⁸¹

რაც შეეხება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს, აღნიშნულის მარეგულირებელი ნორმები 2014 წლიდან ამოქმედდა. მიზანშეწონილად მიმაჩნია, შესწავლილ იქნას და გაანალიზდეს პრაქტიკაში რომელ მუხლებთან კავშირში და რამდენად ეფექტურად ხდება ამ ნორმების გამოყენება; ასევე როგორ ხდება დაცვის მხარის მიერ მისთვის მიუწვდომელი საგამოძიებო მოქმედების შედეგად ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის მოპოვება და მათი პრაქტიკაში გამოყენება.

კვლევის შედეგად გამოვლენილი ანალიზი ცხადყოფს, რომ ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა მარეგულირებელი კანონმდებლობა ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სტანდარტს და ეწინააღმდეგება როგორც პირადი ცხოვრებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებებს, ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედებები საკანონმდებლო დონეზე პროცესუალურად არ არის მონესრიგებული მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის გათვალისწინებით.

⁸¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 4 მაისის N1გ/816 განჩინება, გვ.3;

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2014 წლის 01 აგვისტოს განხორციელებული ცვლილებების შედეგად ცალკე თავად განისაზღვრა ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახეები, ჩატარების წესები და მისი ჩატარების უფლებამოსილების მქონე პირები.⁸² კერძოდ, სსსკ-ის 143¹-ე მუხლის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეებია: ა) სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩანერა; ბ) ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიმართებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია; გ) საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი; დ) ფარული ვიდეო და აუდიო ჩანერა, კინო და ფოტოგადაღება; ე) ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს.

აღსანიშნავია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ პროკურორის შუამდგომლობების საფუძველზე, განზრახ მძიმე ანდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე ან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³-ე მუხლის მეორე ნაწილის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულებებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: ა) არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირს, რომლის მიმართაც ტარდება ფარული საგამოძიებო მოქმედება, ჩადენილი აქვს ზემოაღნიშნული დანაშაული; ბ) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გამონვეულია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და არის დემოკრატიული საზოგადოების ლეგიტიმური მიზნია მისაღწევად აუცილებელი, მისი მიღწევის შესაფერსი და პროპორციული საშუალება; გ) ამ საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული იქნება გამოძიებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია, რომლის სხვა საშუალებით მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

⁸² საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, მიღების თარიღი: 01.08.2014, დოკუმენტის ნომერი - 2634-რს, სარეგისტრაციო კოდი - 090000000.05.001.017493, ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2457218?publication=0>

ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლის განჩინებით⁸³ ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, პროკურორის მოტივირებული დადგენილებით, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელი გახადოს ამ მონაცემების მოპოვება.⁸⁴

აღსანიშნავია ისიც, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულებამდე ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაცნობის უფლება კანონმდებელმა მხოლოდ გამოძიებელს, პროკურორის და მოსამართლეს მიანიჭა, იცის იმ შემთხვევაში თუ ეს ინფორმაცია არსებითად უკავშირდება მოსამართლის მიერ განსახილველ საკითხს,⁸⁵ ხოლო დაცვის მხარეს ამ ინფორმაციაზე წვდომა მტკიცებულებათა გაცვლისა და საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს ეძლევა.⁸⁶

კანონმდებელი მსგავსი ღონისძიების მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარების შესაძლებლობასაც ითვალისწინებს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს მტკიცებულების დაუყოვნებლივ მოპოვების აუცილებლობა.⁸⁷ ზემოაღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებებს განეკუთვნება მაგალითად ჩხრეკა, ამოღება, კერძო საკუთრების დათვალიერება და სხვ.

განსაკუთრებული რეგულირებას ექვემდებარება ფარული საგამოძიებო მოქმედებები, ვინაიდან აღნიშნული ადამიანის უფლებაში ჩარევის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ზომას წარმოადგენს და, ამავდროულად, უფლების დარღვევის მაღალ რისკებს შეიცავს. ფარული საგამოძიებო მოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში ტარდება, თუ მისი ჩატარება გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და ის აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური

⁸³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³-ე მუხლის პირველი ნაწილი;

⁸⁴ იგივე;

⁸⁵ იგივე;

⁸⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³-ე მუხლის მეორე ნაწილი;

⁸⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი;

კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.⁸⁸

ფარული საგამოძიებო მოქმედებები შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ კოდექსით განსაზღვრულ კონკრეტულ მუხლებზე მიმდინარე გამოძიების დროს. ფარული საგამოძიებო მოქმედებები არ შეიძლება ჩატარდეს ნაკლებად მძიმე დანაშაულზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში.⁸⁹ მნიშვნელოვან რეგულირებას ექვემდებარება ფარული საგამოძიებო მოქმედებების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის შენახვა და განადგურება.⁹⁰

არსებობს არაერთი საქმე, სადაც პირები ჩივიან ჩხრეკა-ამოღების დროს მათთვის ნარკოტიკული საშუალების ე.წ. „ჩადების“ შესახებ. მსგავსი საქმეები არაერთხელ შესულა სახალხო დამცველის ანგარიშებში.⁹¹

შესაბამისად, ცალსახაა, რომ პრობლემა დგას სწორედ სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბვებითობის ნაწილში, ვინაიდან მოპოვებული მტკიცებულებების სასამართლოში წარდგენა თავისთავად არ გულისხმობს, რომ გადანყვეტილება ამ მტკიცებულებებს დაეფუძნება. თითოეული მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი დასაშვებობის, რელევანტურობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, ამასთან, ყველა ეს დამატებითი მტკიცებულება ერთობლიობაში უნდა იყოს საკმარისი იმისთვის, რომ საქმეზე მიღებულ იქნას გამამტყუნებელი განაჩენი. აქედან გამომდინარე, საკითხი იმის შესახებ, რომ თანასწორობისა და შეჭიბვებითობის პრინციპის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება რამდენად გაივლის შეფასების ეტაპს, ან თუ გაივლის, რამდენად უზრუნველყოფს ჭეშმარიტი მართლმსაჯულების აღსრულებას, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების წესებთან მიმართებით ფაქტობრივად შეუძლებელია არსებითად თანასწორი გარემოს შექმნა პროცესის მონაწილე

⁸⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³-ე მუხლის მეორე ნაწილი;

⁸⁹ იგივე;

⁹⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143⁵-ე, 143⁸-ე მუხლები;

⁹¹ სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2015 წ. გვ.187, სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2014 წ. გვ. 241-243, სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2013 წ., გვ. 192, სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2012 წ., გვ. 22, 62;

მხარეებისთვის, თუმცა, ამავდროულად, მიზანშეწონელია გაუმართლებელი ლეგიტიმური მიზნებიდან გამომდინარე დაცვის მხარისთვის შეზღუდვების დაწესება, ვინაიდან დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები მოიპოვოს და გამოიკვლიოს სამართლიანი სასამართლოს უფლების ფარგლებში.

III. მოპოვებული მტკიცებულების შეფასება და გამოკვლევა

მტკიცებულების მნიშვნელობა კონკრეტული საქმისათვის შესაძლებელია განისაზღვროს მხოლოდ მისი შეფასების შედეგად, მაგრამ არა ინტუიციურად, არამედ საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობის საფუძველზე. მტკიცებულებათა ერთობლიობა გულისხმობს, მტკიცებულებებს შორის შინაარსობრივი კავშირის არსებობას და გამორიცხავს მათ შორის წინააღმდეგობას.⁹² მტკიცებულებას შეუძლია ქმედების, მტკიცების საგნის, ფაქტობრივ გარემოებათა შესახებ მნიშვნელოვანი რაიმე გარემოების ან/და ვარაუდის დამტკიცება ან/და უარყოფა.⁹³

მნიშვნელოვანია მხარეთა მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენების თავისებურებანი სასამართლოს მიერ განაჩენის დადგენისას. აღნიშნული უშუალო კავშირშია ჩემს მიერ ჩატარებულ კვლევის შედეგებთან, ვინაიდან მხარეთა მიერ მტკიცებულებათა მოპოვება სწორედ მათი განაჩენში მოხვედრის მიზნით ხდება.

უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულებათა შეფასება სამართალწარმოების ყველა სტადიაზე ხორციელდება და ახასიათებს საქმეზე მთელ წარმოებას.⁹⁴

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მტკიცებულებათა შეფასებისას სასამართლო უპირველესად მიმართავს გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებით სტანდარტს. ასეთი მტკიცება შეიძლება

⁹² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, რედ. გიორგაძე, გ., 2015, თბილისი, გვ. 112-113;

⁹³ სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, განკუთვნილია საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2015, თბილისი, გვ. 42;

⁹⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, რედ. გიორგაძე, გ., 2015, თბილისი, გვ. 288;

გამომდინარეობდეს საკმარისად ძლიერი, ნათელი და შეთანხმებულ დასკვნათა ერთობლიობით ან მსგავსი ფაქტების ერთობლიობით. მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს, რაც გულისხმობს დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნის უზრუნველყოფას.⁹⁵ მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით.⁹⁶ მტკიცებულების შეფასებისათვის კოდექსი ადგენს კუმულატიურად სამ გარემოებას და თითოეული მტკიცებულება შეფასებულ უნდა იქნეს მისი: 1. რელევანტურობის; 2. დასაშვებობის; 3. უტყუარობის თვალსაზრისით. შესაბამისად, მტკიცებულება შესაძლებელია აკმაყოფილებდეს აღნიშნულ ნებისმიერ ორ პირობას, მაგრამ მესამე კრიტერიუმის დაუკმაყოფილებლობის გამო არ იქნეს გათვალისწინებული განაჩენის დადგენისას.⁹⁷

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ განმარტებული და გაანალიზებული იქნეს მტკიცებულებათა შეფასების ყველა კრიტერიუმი.

3.1. რელევანტურობა

რელევანტურობა ეხება მტკიცებულების შინაარსს და გულისხმობს მის კავშირს საქმისთვის მნიშვნელოვან გარემოებებსა და ფაქტებთან, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების არსებობა - არარსებობაზე. რელევანტურობის შეფასება ხდება საქმის გარემოებებისა და მტკიცებულებაში არსებული ინფორმაციის შინაარსის ურთიერთშეპირისპირებით. ამ დროს ფასდება არა მხოლოდ ის მტკიცებულება, რომელიც ეხება მტკიცების საგანში შემავალ გარემოებებს, არამედ ასევე ფასდება მტკიცებულებებიც, რომელთა მეშვეობით ხდება საქმისათვის მნიშვნელოვანი ნებისმიერი დასამტკიცებელი გარემოების დადასტურება ან უარყოფა.⁹⁸

⁹⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Salman v. Turkey*, პარ. 100;

⁹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილი;

⁹⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, რედ. გიორგაძე, გ., 2015, თბილისი, გვ. 289;

⁹⁸ იქვე, გვ. 293;

რელევანტურობის შეფასებისათვის დადებითი პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ ორ შეკითხვას:

- ექვემდებარება თუ არა მტკიცებას ის გარემოება, რომელსაც ადასტურებს ეს მტკიცებულება;
- არსებობს თუ არა კავშირი დასამტკიცებელ გარემოებასა და მტკიცებულებას შორის.

მტკიცებულების რელევანტურობის და დასაშვებობის მოთხოვნა არსებობს მათი ფორმირების/მოპოვების პროცესშივე მაშინ, როდესაც თავად მტკიცებულება, როგორც საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება, ჯერ კიდევ არ არსებობს. რელევანტურია ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მიუთითებს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტზე, გარემოებასა და ვარაუდზე.⁹⁹

მტკიცებულების რელევანტურობისა და დასაშვებობის კრიტერიუმები განერილია, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცებულების ფედერალური წესებით, რომლის თანახმადაც მტკიცებულება რელევანტურია, თუ ა) იგი ადასტურებს რაიმე ფაქტს, რომელიც შეუძლებელი იქნებოდა ამ მტკიცებულების გარეშე და; ბ) მის მიერ დადასტურებულ ფაქტს მნიშვნელობა აქვს საქმის გადანწყვეტისათვის.¹⁰⁰

რელევანტურობა არ არის მყარი კატეგორია და შეიძლება იცვლებოდეს საქმის განვითარების კვალობაზე მტკიცების პროცესში. მაგალითად, მტკიცებულებებმა, რომლებიც ადასტურებენ ერთ-ერთ საგამოძიებო ვერსიას, შესაძლებელია დაკარგონ რელევანტურობა თუ სხვა მტკიცებულებების საფუძველზე ეს ვერსია იქნება უარყოფილი. ანალოგიურად, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებები დაკარგავს რელევანტურობას თუ გამოძიების შემდგომ ეტაპზე დადგინდება, რომ მათ შეხება არ ჰქონდათ გამოსაძიებელ სისხლის სამართლის საქმესთან.¹⁰¹

⁹⁹ იქვე, გვ. 293-294;

¹⁰⁰ Federal Rules of Evidence, December 1, 2014, იხ.ლინკი - <http://www.uscourts.gov/sites/default/files/Rules%20of%20Evidence> ;

¹⁰¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, რედ. გიორგაძე, გ., 2015, თბილისი, გვ. 293;

3.2. დასაშვებობა

მტკიცებულების დასაშვებობის კრიტერიუმი უფრო ფორმალიზებულია, ვინაიდან მოითხოვს მტკიცებულების მოპოვების და დამაგრების მთელი პროცედურის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრას, ე.ი. ფაქტობრივი მონაცემების წყაროების და მტკიცებულების შეკრების ხერხის შესაბამისობას საგამოძიებო/სასამართლო/საპროცესო მოქმედებასთან.¹⁰² მტკიცებულებათა უკანონოდ მოპოვება არ შეიძლება იქნეს გამართლებული ყველაზე მძიმე კატეგორიის დანაშაულში პირის მხილების ან/და ორგანიზებული დანაშაულის გამოძიების სირთულეებითაც კი. წინააღმდეგ შემთხვევაში მართლმსაჯულების განხორციელება გასცდება კანონის ჩარჩოებს და გადაიქცევა შეუზღუდავი ძალაუფლების იარაღად, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის პიროვნული თავისუფლების აღიარების კონსტიტუციურ სტანდარტს.¹⁰³

აქვე უნდა აღინიშნოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის N2/2/579 გადაწყვეტილების მნიშვნელობა მტკიცებულებათა დასაშვებობის განსაზღვრისას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ძალადაკარგულად გამოცხადდა სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვები „ამ კოდექსის“, რომელიც მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა არსებითი დარღვევისას აცხადებდა მტკიცებულებას დაუშვებლად, მაშინ როცა მტკიცებულებათა მოპოვება შესაძლებელია განხორციელდეს სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე. მაგალითად, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი და სხვა საკანონმდებლო აქტები ადგენენ

¹⁰² იქვე, გვ. 292;

¹⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის N2/2/579 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7;

გარკვეულ რეგულაციებს, რომლებიც ადგენენ საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას.¹⁰⁴

3.3. უტყუარობა

მტკიცებულების უტყუარობა გულისხმობს მასში მოცემული ინფორმაციის (ფაქტობრივი მონაცემები) ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტების კრიტერიუმს შესაძლებელია წარმოადგენდეს გამოცდილება, პრაქტიკა. სარწმუნოა მტკიცებულება, რომელთან მიმართებითაც არ არსებობს გონივრული ეჭვი მისი გამოცვლის, გარეგანი და არსობრივი მახასიათებლების შეცვლის შესახებ და ა.შ.¹⁰⁵ მტკიცებულებათა უტყუარობის შეფასებისას, როგორც წესი, ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ გარემოებებზე: მტკიცებულების წყაროს სანდოობა; ინფორმაციის მიღების ხერხები და საშუალებები; შესაფასებელ მტკიცებულებაში მოყვანილი ინფორმაციის დადასტურება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებით.¹⁰⁶

ფაქტობრივად, მტკიცებულებათა უტყუარობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ისიც, თუ რა ვითარებაში და რა საპროცესო მოქმედების შედეგად არის იგი მოპოვებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლო სისხლის საქმეთა პალატა აღნიშნავს, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დასადგენად აუცილებელია შეფასდეს თითოეული მტკიცებულების უტყუარობა, დამაჯერებლობა, რაც საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველა შემთხვევაში სავალდებულოა განაჩენის გამოტანის დროს. მტკიცებულებათა უტყუარობა უნდა შეფასდეს რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით: 1. თითოეული მტკიცებულება, მათ შორის, მონმის ჩვენება, შინაარსობრივად ხომ არ შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას; 2. თითოეული მტკიცებულება ამყარებს სხვა მტკიცებულებებს, თუ მათ შორის არის სხვადასხვა წინააღმდეგობა, რომელთა ხარისხის შეფასება ყველა

¹⁰⁴ იქვე, II-24;

¹⁰⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, რედ. გიორგაძე, გ., 2015, თბილისი, გვ. 289;

¹⁰⁶ იქვე, გვ. 290-291;

ინდივიდუალურ შემთხვევაში სასამართლოს კომპეტენციაა; 3. რამდენად გულწრფელი და მიუკერძოებელია მონმე, ხომ არ აქვს ფიზიკური ნაკლი, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს მოვლენების ადეკვატურ აღქმაზე; 4. როგორ პირობებში მოხდა მტკიცებულებების ფორმირება, მაგ: გარემო პირობები - ცუდი ხილვადობა (ნისლი), ხალხმრავალი ადგილი, მანძილი მონმესა და შემთხვევის ადგილს შორის და სხვა. მტკიცებულებების ამ კრიტერიუმით შეფასება და მათზე განაჩენში სათანადო მსჯელობის გარეშე მტკიცებულებათა უტყუარობის სიღრმისეული შეფასება ფაქტობრივად შეუძლებელია.¹⁰⁷

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მტკიცებულებათა შეფასების სამივე კრიტერიუმი არსებითი მნიშვნელობისაა სისხლის სამართლის პროცესში, რადგან სწორედ ამის შედეგად იკრიბება საქმეში მტკიცებულებები და შემდგომ მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას, გამოიტანოს თუ არა გამამტყუნებელი განაჩენი. გადაწყვეტილება კი მაშინ იქნება სამართლიანი და კანონიერი თუ შეფასების ობიექტია თანასწორ და შეჭიბრებით გარემოში მოპოვებული მტკიცებულებები.

დასკვნა

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჭიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების საფუძველზე, რომლის დროსაც მხარეები უზრუნველყოფილნი არიან სამართლიანი სასამართლოს უფლებით, შესაბამისად, მტკიცებულებათა მოპოვებისას, მათი უფლება, შემდგომში დეტალურად გამოიკვლიონ თანასწორ და შეჭიბრებით გარემოში მოპოვებული ინფორმაციის შემცველი საგანი, ნივთი, ნივთიერება ან სისხლის სამართლის პროცესისათვის ინფორმაციის მატარებელი სუბიექტი, იზღუდება და მათი უფლების შესაძლო დარღვევას შეიძლება ჰქონდეს ადგილი. წარმოდგენილი ნაშრომით შევაფასე დღეს მოქმედი კანონმდებლობა სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებათა მოპოვების კუთხით თანასწორობისა და

¹⁰⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე N397აპ-14;

შეჯიბრებითობის პრინციპების გათვალისწინებით, ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ზოგიერთი ნორმა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელ უფლებრივ კომპონენტთან მიმართებით, რის გამოც მომავალში გარდაუვალია საკანონმდებლო რეგულაციების განმტკიცება, რათა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი უკანონო მსჯავრდების დაშვების ალბათობა.

ჩატარებული კვლევისა და ნაშრომში მოყვანილი მსჯელობების საფუძველზე ქვემოთ მოვიყვან საკუთარ მოსაზრებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს საკვლევი საკითხის საკანონმდებლო თუ პრაქტიკული რეგულირების სრულყოფის მიზნით:

1. მტკიცებულებათა ცნება და არსი მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის პროცესისთვის იმდენად, რამდენადაც მტკიცებულების გარეშე სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება ალოგიკურია და არ ჯდება სამართლებრივ ფარგლებში. მტკიცებულებათა სახეების განხილვამ შედეგად გვაჩვენა, რომ თითოეული მათგანი მეტწილად საჭიროებს ყურადღებას მოპოვებისა და შემდგომში მისი შეფასების პროცესში, ასევე, წინასაგამოძიებო მოქმედებისა თუ საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე საპროცესო მოქმედების ჩატარების პროცესში;

2. რაც შეეხება მტკიცებულებათა მოპოვების უფლებას, ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მოპოვების პროცესში მხარეთა თანასწორუფლებიანობა, რაც შეჯიბრებითი სასამართლოს პრინციპიდან გამომდინარეობს. როგორც კვლევის ძირითად ნაწილში აღვნიშნე, დემოკრატიული და სამართლიანი სახელმწიფოს პრინციპებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ბრალდებისა და დაცვის მხარეს შორის აბსოლუტური თანასწორობის მიღწევა. თუმცა შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში დაცვის უფლების განხორციელებისას სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებისათვის მნიშვნელოვანია დაცვის მხარეს გააჩნდეს ბრალდების არგუმენტების გაქარწყლების ადეკვატური და რეალური შესაძლებლობა, რაც, გულისხმობს როგორც უფლებას ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევა-გაბათილებაზე, ასევე ამ მიზნით უფლებას მტკიცებულების მოპოვებაზე;

3. ამასთან, მტკიცებულების მნიშვნელობა კონკრეტული საქმისათვის შესაძლებელია განისაზღვროს მხოლოდ მისი შეფასების შედეგად, მაგრამ არა ინტუიციურად, არამედ საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობის საფუძველზე. შესაბამისად, მხარეთა მიერ მტკიცებულებათა მოპოვება სწორედ მათი განაჩენში მოხვედრის მიზნით ხდება. სწორედ ამიტომ სასამართლოს მიერ განაჩენის დადგენისას მნიშვნელოვან ყურადღებას საჭიროებს მხარეთა მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენების თავისებურებანი, მათ შორის, მათი შეფასების კრიტერიუმები.

ზოგადი თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სწორად განმარტა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და არ გულისხმობს მტკიცებულებათა წარმდგენის უფლების შეუზღუდაობას, მაგრამ შეზღუდვა არ უნდა იყოს აბსოლუტური, ბლანკეტური და არათანაზომიერი, არ უნდა ახდენდეს მხარის უფლებების ისეთ არსებით შეზღუდავას, რაც პრაქტიკულად მხარის ფუნქციის განხორციელების შეუძლებლობას გამოიწვევს ან აზრს დაუკარგავს დეკლარირებულ უფლებას. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც სასამართლო პრაქტიკულად მოკლებულია საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვებას და გამოკვლევას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაცვის მხარისათვის ყველა იმ მტკიცებულების მოპოვების უფლების მინიჭებას, რომელსაც გადამწყვეტი ან ძირითადი მნიშვნელობა შეიძლება გააჩნდეს პირის ბრალეულობის საკითხის გადასაწყვეტად.

სისხლის სამართლის პროცესში სამართალწარმოების დასაწყისიდანვე ბრალდება და დაცვა სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ბრალდება მოქმედებს ერთადერთი მიზნით, ემსახუროს მართლმსაჯულებას, ანუ უზრუნველყოს ჭეშმარიტების დადგენა და კანონის სწორად გამოყენება. ბრალდებული, თავის მხრივ, მოქმედებს საკუთარი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე და არ ევალება მართლმსაჯულების ინტერესების გათვალისწინება. ბრალდებას შეუძლია იძულების ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორებიცაა დაპატიმრება, სატელეფონო მოსმენა, ჩხრეკა და ამოღება. მას აგრეთვე ხელი მიუწვდება მაღალტექნოლოგიურ საშუალებებზე. ბრალდებულს არ გააჩნია მსგავსი შესაძლებლობები, სამაგიეროდ, ფლობს ზუსტ ინფორმაციას საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებზე. მტკიცების ტვირთი ბრალდებას ეკისრება.

ბრალდებულს კი შეუძლია, იყოს პასიური და შეინარჩუნოს დუმილი მთელი სამართალწარმოების მანძილზე. თანასწორობა ასეთ კონტექსტში უნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც ერთგვარი პარიტეტი.¹⁰⁸

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებისათვის მნიშვნელოვანია დაცვის მხარეს გააჩნდეს ბრალდების არგუმენტების გაქარწყლების ადეკვატური და რეალური შესაძლებლობა, რაც გულისხმობს როგორც უფლებას ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევა-გაბათილებაზე, ასევე ამ მიზნით უფლებას მტკიცებულების მოპოვებაზე.

ბიბლიოგრაფია:

1. “INTERIGHTS”, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), სახელმძღვანელო იურისტებისთვის, 2008, თბილისი;

¹⁰⁸ ტრექსელი, შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, რედ., ვარძელაშვილი, კ., ავტ., გოგელია, ვ., 2009, გვ.119;

2. 2005 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგია, შემუშავებული 2004 წლის 19 ოქტომბრის N914 პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, თბილისი;
3. 2017 წლის 15 ივნისის N1237 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვასილ საგანელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
4. აქუბარდია, ი., მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში, იხ. მზია ლეკვეიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებულში, 2014;
5. განმარტებითი ბარათი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე (4677-რს), 2015;
6. გროესტადი, ანნე/რუი, იონ პეტერ, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების გამოყენება სისხლის სამართლის საქმეებზე“, 2012;
7. იმნაძე, გ., ირიბი ჩვენების გამოყენების წესი (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), 2015, თბილისი;
8. ირიბი ჩვენებები, საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2016, თბილისი;
9. ირლანდიის სამართლებრივი რეფორმის კომისია, ირიბი ჩვენება სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებში;
10. კუბლაშვილი, კ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2005, თბილისი;
11. მალლაკელიძე, ლ., თუმანიშვილი, გ., არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულებების მნიშვნელობა ქართული და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, N1, 2017, თბილისი;
12. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რედ. გახოკიძე, ჯ., მამნიაშვილი, მ., გაბისონია, ი., თბილისი;
13. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, რედ. გიორგაძე, გ., 2015, თბილისი;
14. სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2012 წ.;
15. სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2013 წ.;

16. სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2014 წ.;
17. სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2015 წ.;
18. სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, განკუთვნილია საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2015, თბილისი;
19. ტრექსელი, შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, რედ., ვარძელაშვილი, კ., ავტ., გოგელია, ვ., 2009;
20. ჩომახაშვილი, ქ., თომაშვილი, თ., ძებნაური, გ., ოსეთაშვილი, ს., პატარიძე, მ., მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, 2016, თბილისი;
21. Nuala Mole and Catharina Harby, A guide to the implementation of Article 6 of the European Convention on Human Rights, Council of Europe, (2001,2006), Belgium;
22. The principle of equality of arms, PhD thesis, J.P.W. Temminck Tuinstra, 2009, University of Amsterdam;
23. А. М. Безруков, Преюдициальная связь судебных актов, 2007, Москва;

სასამართლო გადაწყვეტილებები:

24. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 4 მაისის N1გ/816 განჩინება;
25. საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის #3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „ საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
26. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე „ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
27. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

28. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
29. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“;
30. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
31. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
32. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „8“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“;
33. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის N2/2/579 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
34. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
35. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტიტკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

36. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2014 წლის 23 მაისის N3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”;
37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 აპრილის განაჩენი საქმეზე N483აპ-14;
38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე N397აპ-14;
39. Brandstetter v. Austria, ECtHR, 11170/84, 12876/87, 13468/87, 28/08/1991;
40. Dombo Beheer B.V. v. the Netherlands, ECtHR, 14448/88, 27/10/1993;
41. Ernst et al. V. Belgium, ECtHR, 15/07/2003;
42. Feldbrugge v. the Netherlands, ECtHR, 8562/79;
43. Fitt v. UK, ECtHR, (GC), 16/02/2000;
44. G.B. v France, ECtHR 02/10/2001;
45. Goc v Turkey, ECtHR, (GC), 11/07/2002;
46. Goddi v. Italy, ECtHR, (Appl. no. 8966/80), 09/04/1984;
47. Hümmel v. Germany, ECtHR, 19/10/2012;
48. IJL, GMR and AKP v. UK, ECtHR;
49. JJ v the Netherlands, ECtHR, 27/03/1998;
50. Kamasinski vs. Austria, ECtHR, 19/12/1989;
51. Laukkanen and Manninen v Finland, ECtHR, 03/02/2004;
52. Lucà v. Italy, ECtHR, 02/09/1997;
53. Meftah v. France, ECtHR, (GC), 26/07/2002;
54. P.S. v. Germany, no. 33900/96, 20.12.2001 - ბრალდებულს არ მიეცა შესაძლებლობა კითხვები დაესვა სავარაუდო სექსუალური ძალადობის მსხვერპლისთვის; შედ., S.E. v. Italy, no. 36686/97, 12.01.1999;
55. PG and JH v. UK, ECtHR, 25/09/2001;
56. Rowe and Davis v. UK, ECtHR, (GC), 16/02/2000;
57. Salman v. Turkey, ECtHR, 27/06/2000;
58. Schenk v. Switzerland, 1988, ECtHR, 10862/84;
59. Skondrianos v Greece, ECtHR, 18/12/2003;
60. Solakov v. the former Yugoslav Republic of Macedonia, ECtHR, 31/01/2002;
61. Van Mechelen and Others v. the Netherlands, ECHR, 03.04.2012;

კანონმდებლობა:

62. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო;
63. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
64. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი;
65. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, მიღების თარიღი: 01.08.2014, დოკუმენტის ნომერი - 2634-რს, სარეგისტრაციო კოდი - 090000000.05.001.017493;

ინტერნეტ რესურსები:

66. <http://www.lawreform.ie/fileupload/hearsayfull.pdf>;
67. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/iribi-chvenebebi1.pdf>
68. <http://www.tbappeal.court.ge>
69. <http://www.uscourts.gov/sites/default/files/Rules%20of%20Evidence>
70. <https://cjn.ge/ka/publications/>
71. [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22documentcollectionid%22:\[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22documentcollectionid%22:[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22]})
72. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2457218?publication=0>
73. <https://www.libertyhumanrights.org.uk/human-rights/what-are-human-rights/human-rights-act/article-6-fair-trials>
74. www.supremecourt.ge